# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 17 ივნისი 2005 №135 (2458) ფასი 50 თეთრი


# ყვითლები იწყებენ და იგებენ

## ბრაზილიამ საბერძნეთს მსოფლიო აჩვენა



AFP

**ეგებ ზესტაფონს სასამართლოც დასჭირდეს**

4



**ჩელსიმ გადაამეტა**

ლონდონელებმა კრესპოს სანაცვლოდ ნახევარი მილანი მოისურვეს

6



**გაუმარჯოს პაუელსა**

100 მეტრის შემცირების ამბავი

14

# დიპლომატიური მატჩი: საფრანგეთი — საქართველო

## ფრენბურთი აღარაფერ შუაშია



# ფიფას კონფედერაციის თასი 2005
## გერმანია. 15–29 ივნისი

# იაპონელებს სიმაღლის ეშინიათ

**B ჯგუფი. II ტური**

**იაპონია 1:2 მექსიკა**

1:0 იანაგისავა (12), 1:1 ზინია (39), 1:2 ფონსეკა (64)
**იაპონია:** კავაგუჩი, ტანაკა, ჩანო (ტამადა 82), იანაგისავა, მიამოტო, ალექსი, შ. ნაკატა, ოგასავარა (ოგურო 68), ფუკუნიში, ნაკამურა (ინამოტო 39), კაჯი
მწვრთნელი: ზიკო
**მექსიკა:** ო. სანჩესი, გალინდო, საკიდო, ფონსეკა (როდრიგესი 86), ოსორიო, ტორადო (პერესი 86), ზინია, პარდო, ბორგეტი, კარმონა, ლოსანო (პინედა 46)
მწვრთნელი: რიკარდო ლავალოპე
გაფრთხილება: კაჯი
მსაჯი: მეტიუ ბრიზი
24 036 მაყურებელი

მექსიკის ნაკრებმა წაუგებელი სერია 19 მატჩამდე შეავსო, რაც ზიკოს იაპონიის დამარცხებას მოჰყვა.

არადა, ჰანოვერში იაპონელები აცუში იანაგისავას ადრიანი გოლით იგებდნენ, მაგრამ დანებება მოუწიათ. ოკეანისგაღმელთა გამთამაშებელმა ზინიამ პირველივე ტაიმში გაათანაბრა, მეორეშიკი ხოსე ფინსეკამ მექსიკელთა გამარჯვებისა გაიტანა.

ისიც სათქმელია, რომ მექსიკის ნაკრებს, რომელიც კონფედერაციათა თასის 1999 წლის მომგებია, კლუბებისგან არგამოშვებული ოთხი ფეხბურთელი აკლდა — მათ ლიბერტადორესის თასზე თამაში ამჯობინეს, ბარსელონელი რაფაელ მარკესი კი ნაკრებს ტრავმის გამო ვერ დაეხმარა.

ხოლო იაპონიას, რომელიც პირველი ქვეყანაა, გაისად მუნდიალზე თამაში რომდაიბევა, თავისი ყველაზე ცნობადი ფეხბურთელები დაუბრუნდნენ — ფიორენტინელი ჰიდეტოში ნაკატა და შუნსუკე ნაკამურა. ორთავემ იაპონელთა ბოლო თამაში, ჩრდილოეთ კორეასთან, დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვეს.

პირველი გოლი იაპონელებმა კი გაიტანეს, მაგრამ მატჩის დაწყებისთანავე მათ მეტოქეს ჰქონდა წაღდი მომენტი, როცა კარში წასულიბურთი მცველმა აკირა კაიმ გამოიტანა. საერთოდაც, თამაში მექსიკელებისიც იყო, ისინი უფრო სახიფათოდ უტევდნენ, თუმც ისიც თქვათ, რომ ორიოდე ხეირიანი მომენტი აზიელებმაც შექმნეს.

„ჩვენი მთავარი პრობლემა მაღალი ბურთია — თქვა ნამატჩევს ზიკომ — ყოველი მაღალი ბურთი მეტოქეს რჩებოდა. ვფიქრობ, მომდევნო მატჩებისთვის ამ ხარვეზს აღვმოვფხვრით და ეს შედეგშიც აისახება. მექსიკის ნაკრები კი მართლა ძალიან ძლიერია და შემთხვევით არ არის, რომ ფიფას რანგლისტის ათეულშია. მათგან პირველ რიგში ზინიას გამოვარჩევ, რომელიც, შეიძლება ითქვას, ნახევარი გუნდია."

მექსიკელთა მწვრთნელმა რიკარდო ლავოლპემ კი თქვა: „ყოველთვის ვთვლიდი, რომ იაპონია ანგარიშგასაწევი ძალაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მეტოქის სასტარტო აგრესიულობამ მაინც გაგვაკვირვა და დაგვაბნია. მაგრამ თამაში ნელ-ნელა გამოვასწორეთ და სასურველ შედეგსაც მივაღწიეთ. ჩვენი პლიუსი კი ის არის, რომ ბურთს უაზროთ არ ვკარგავთ, რაც თამაშის კონტროლის საშუალებას გვაძლევს."



**ბრაზილია 3:0 საბერძნეთი**

1:0 ადრიანო (41), 2:0 რობინიო (46), 3:0 ჟუნინიო პერნამბუკანო (81)
**ბრაზილია:** დიდა, ლუსიო, როკე ჟუნიორი, ემერსონი, ჟილბერტო, რობინიო, კაკა (ჟუნინიო პერნამბუკანო 77), ადრიანო (რიკარდო ოლივეირა 71), რონალდინიო (რენატო 71), ზე რობერტო, სისინიო
მწვრთნელი: კარლოს ალბერტო პარეირა
**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი (ვინტრა 46), კირიაკოსი, ბასინასი, ზაგორაკისი (ამანატიდისი 73), იანაკოპულოსი, ხარისტიასი, ვრიზასი (პაპადოპულოსი 46), გუმასი, კარაგუნისი, კაცურანისი
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
გაფრთხილება: კარაგუნისი, კირიაკოსი, ჟილბერტო
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
მაყურებელი: 42 507 მაყურებელი




AFP

# ბრაზილიამ ევროპას მსოფლიო აჩვენა

ვინც ბრაზილიის ნაკრებს ამ ტურნირის ფავორიტად მიიჩნევდა, ალბათ, არ შემცდარა. ბრაზილიელებს რაგინდარა შეჯიბრის წინ გამარჯვებას კი უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ ახლა, გერმანიაში დაწყებულ კონფედერაციის თასზე თითქმის ყველა ქვეყანამ უძლიერესი შემადგენლობა რომ შეკრიბა, ხოლო პენტაკამპეონებმა რონალდო, კაფუ და რობერტო კარლოსი მოისაკლისეს, ბარზილიელთა უპირობო ფავორიტობაზე ლაპარაკი, ვინძლო, გადაჭარბებულიც ყოფილიყო. ცხადია, ჯერ არავინ იცის, ვინ მოიგებს კონფედერაციის თასს, მაგრამ ულიდერებოდ დარჩენილი სამხრეთამერიკელებს საამისო ძალა რომ შესწევთ, გუშინ ბერძნებთან მატჩიც გამოჩნდა.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა ლაიპციგში გამართულ შეხვედრაში ბრაზილიელთა სათამაშო თუ ტერიტორიული უპირატესობა იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ ალბათ არავის უეჭვია კარლოს ალბერტო პარეირას გუნდის გამარჯვება. არადა, ბერძნებმა აქტიურად დაიწყეს, პირველივე წუთზე კირიაკოსს მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინა, ეგებ დიდას კარის ბადეც შეერხია, მაგრამ ბურთს თავი უხეიროდ დაჰკრა და... აქედან მოყოლებული ბურთი და მოედანი ბრაზილიელებს დარჩათ.

ჯერ იყო და, ემერსონის ბასრი პასით ადრიანოს შეეძლო ეხეირა, მაგრამ ბურთს უგერგილოდ დაჰკრა და კარს აცილა. მერე რონალდინიომ ჩაიდრიბლინგა, ბერძენთა საჯარიმოში შეინავარდა და მცველთაგან მიტოვებულ რობინიოს უფეშქაშა ბურთი. ჭაბუკმა რობიმ რონალდინიოს საჩუქარს ეგრევე დაჰკრა, თუმც კარისკენ მიმქროლავ ბურთს ნიკოპოლიდისმა კუთხურისკენ უცვალა გზა. რამდენიმე წუთში კვლავ რობინიომ გაიბრწყინა, ორი მცველი გააბითურა, ოღონდ დარტყმა სუსტი გამოვიდა და ნიკოპოლიდისს მოგერიება არ გასჭირვებია. ტაიმის დასრულებამდე ოთხიოდე წუთი რჩებოდა, როცა ადრიანომ მცველთაგან ართმეული ბურთი დაიბრუნა და შორეული ჯადო-დარტყმით თავისიანები დააწინაურა. ცხადი იყო, ბრაზილია პირველ საკონფედერაციო სამქულას მიითვლიდა, თუმც საკითხავი ისღა იყო, 90 წუთის მერე ლაიპციგის სტადიონის ტაბლოზე რა ანგარიში დაფიქსირდებოდა. მეორე ტაიმის გასრულების მერე ამ კითხვასაც გაეცა პასუხი. პენტაკამპეონებმა მეორე ორმოცდახუთწუთეულში სამი გოლი გაუტანეს ბერძნებს, აქედან ორი სლოვაკმა არბიტრმა ჩათვალა, ერთი კი ოფსაიდის გამო გააუქმა. სამეორეტაიმო ორიდან პირველი რობინიომ მიითვალა. „სანტოსის" ვარსკვლავმა რობერტო კარლოსის შემცვლელის ჟილბერტოს პასი შეირგო და მახვილი კუთხიდან შეაგდო. 81-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ჟუნინიო პერნამბუკანომ ჩვეულებას არ უღალატა და შორეული საჯარიმო დარტყმიდან ბურთი ცხრიანში ჩასვა. ამ გოლმა პარეირაზე არანაკლებ ჟერარ ულიე გაახარა. შევნიშნოთ, რომ ულიე ახლახან „ლიონის" მწვრთნელად დაინიშნა, ჟუნინიო კი ამ ფრანგული გუნდის ყოჩთა ყოჩია.

**სოსო ძოტორეიშვილი**

### შვედეთი
**ალსვენსკა**
**X ტური**
ასირისკა 0:1 ჰელსინგბორგი
გიოტებორგი 2:0 სუნდსვალი
ლანდსკრონა 1:1 კალმარი
მალმიო 1:3 იურგორდენი
**სუპერეტა**
**გადადებული მატჩი**
ნორჩიოპინგი 0:0 იორებრო

### ფინეთი
**ვეიკაუსლიგა**
**IX ტური**
მიუპა 0:0 ალიანსი

### ნორვეგია
**თასის 1/16 ფინალი**
ლოვ ჰამი 0:1 *ბრანი*

### ამხანაგური მატჩი
პაკისტანი 0:1 ინდოეთი

### უკრაინა
**უმაღლესი ლიგა**
**XXX ტური**
არსენალი 2:0 ვორსკლა
კრივბასი 0:0 ჩერნომორეცი
მეტალისტი 0:2 დნიპრო
მეტალურგი (ზ) 2:1 ბორისფენი
ობოლონი 1:1 მეტალურგი (დ)
შახტარი 3:2 დინამო
ტავრია 4:1 ვოლინი
ზაკარპატია 1:0 ილიჩევეცი

### ისლანდია
**პრემიერდივიზიონი**
**VI ტური**
ფილკირი 1:1 ფრამი
გრინდავიკი 0:0 რეიკიავიკი
თროტური 4:0 ვესტმანაეიარი

### იტალია
**სერია B**
**გადასასვლელი პლეი ოფი**
**პირველი მატჩები**
ასკოლი 0:1 ტორინო
ტრევიზო 0:1 პერუჯა

### ქალთა ევროპის ჩემპიონატი 2005
**ნახევარფინალი**
შვედეთი 2:2 (დ.დ.2:3) *ნორვეგია*


ლევან აკობია და გია მეგრელაძე


ვალერი აბრამიძე


ზვიად სტურუა


გიორგი ნერგაძე


მიხეილ ბობოხიძე


სანდრო იაშვილი

# დინამომ დინამო შეამოწმა

## წამსვლელ-დამრჩენი დღეს გაირკვევა

**თბილისის „დინამომ"** გუშინ დილის საწვრთნელ ბაზაზე ორმხრივი მატჩი ჩაატარა. მწვრთნელმა კახა ცხადაძემ „ძველ" დინამოელებს რამდენიმე ახალწვეულიც მიამატა და გერმანიაში მოსამზადებლად წასვლამდე ახალ გუნდზე გარკვეული შთაბეჭდილებაც შეიქმნა.

ახალი თუ განათხოვრებული ფეხბურთელებიდან გუშინ ითამაშეს: ზვიად სტურუამ, ირაკლი თოთლაძემ, გიორგი მეგრელაძემ, გია ნერგაძემ, ლევან აკობიამ, ვალერი აბრამიძემ, მიხეილ ბობოხიძემ, სანდრო იაშვილმა, დავით გიგაურმა, ლევან ხმალაძემ.

საგერმანიო შემადგენლობა ჯერ საბოლოოდ გარკვეული არ არის, თუმც, სავარაუდოდ, თბილისში დარჩება სანდრო იაშვილი, ვისაც შოტლანდიური „რეინჯერსი" იწვევს. დანარჩენ ჩამოთვლილ ფეხბურთელთაგან კი ვინ დარჩება „დინამოში" და ვინ არა, გუნდის ხელმძღვანელობამ დღევანდელ პრესკონფერენციაზე უნდა თქვას.

გუშინდელ დილის ვარჯიშზე დაშავდა შოთა ბაბუნაშვილი, რომელმაც საღამოს თამაში ველარ შეძლო და მატჩს მოედნის კიდედან უცქერდა. სხვა ახალი ამბები კი ხვალისთვის იყოს.

**კობა ინასარიძე**

*გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები*

# მეხი არ დაგვეცეს!

## უეფამ დინამოს 1 ივლისი დაუთქვა


*გურამ დოლენჯაშვილის ფოტო*

**რამდენიმე** თვის წინ საკითხი ასე იდგა — სად ითამაშებს თბილისის „დინამო" საშინაო მატჩებს ევროტურნირზე?

— „დინამო" „ლოკომოტივის" სტადიონზე არ ითამაშებს. უეფას უკვე შევატყობინეთ, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებს ეროვნულ სტადიონზე ჩავატარებთ — განგვიმარტა „დინამოს" მატჩების ორგანიზატორმა გია ისიანმა.

თუმც ეროვნული სტადიონი უნაკლო რომ არაა, ფაქტია. როგორც ისიანმა გვითხრა, სასურველია, ამ არენის მინდორი უკეთესი იყოს. ამ დროისთვის მოედანი დამაკმაყოფილებელია, მაგრამ თუ „დინამო" წარმატებით დაძლევს შესარჩევ ეტაპებს და ევროფრონტზე შემოდგომაზეც იბრძოლებს, მინდვრის საკითხი პრობლემატური გახდება.

ამასობაში თბილისის მერია ეროვნულ სტადიონზე სამუშაოებს ატარებს — ტრიბუნებს ხის სკამებისგან ათავისუფლებს, მაგრამ სამუშაოები ჯერ დაუმთავრებელია.

„გუშინ ქალაქის პრემიერ თემურ ქურხულს მივმართეთ წერილით, რადგან უეფასა და სალიცენზიო კომიტეტის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა უსაფრთხოებაა — ხის სკამების ნამტვრევები ტრიბუნებზე არ უნდა იყოს" — გვამცნო გია ისიანმა.

დღესდღეობით ეროვნული სტადიონი, რომელსაც ბევრი რამ აკლია იდეალურობამდე, უეფას სხვა მოთხოვნასაც ვერ აკმაყოფილებს — სტადიონის სახურავს მეხამრიდი არ აქვს. მეხამრიდის პროექტი უკვე მზადაა, მაგრამ მის განსახორციელებლად თანხა ჯერ არ ჩანს, არადა, უეფას მითითებით, მეხამრიდის დამონტაჟება 1 ივლისამდე უნდა მოესწროს. „დინამოში" ეიმედებათ, რომ ქალაქის მერია და სტადიონის დირექცია ამ საკითხს დროულად მოაგვარებენ.

შეგახსენებთ, ეროვნული სტადიონის საკონტროლო პაკეტი სწორედ მერიის საკუთრებაა.

**დავით თავართქილაძე**

# რას აკადრებს კადრებს ახალკაცი?



**რა კადრებით** დააკომპლექტებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მისი ახალი პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი?

ამის შესახებ მეტწილად კულუარული ინფორმაციებია, მაგრამ დღეს ფედერაციაში კრება გაიმართება — ახალკაცი ძველი, ჟორდანიასდროინდელი ფედერაციის თანამშრომლებს შეხვდება და ვინძლო, დღესვე გადაწყდეს ფედერაციის არაერთი თანამშრომლის საკითხი.

მანამდე მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ფედერაციის ახალი გენმდივნის ვინაობა დღეს და ხვალ არ გაცხადდება — ასეთ მნიშვნელოვან პოსტზე ახალი კადრის დანიშვნას ახალკაცი არ ჩქარობს და ალბათ ეს ასეც უნდა იყოს.

**ნიკა ჯორჯაძე**

# ჩელსი მილანს: 10 მილიონი თქვენ, კალაძე ჩვენ

## კახამ შევჩენკოს გული ატკინა



**კახა კალაძის** „მილანიდან" „ჩელსიში" გადასვლა-არგადასვლის ამბავი ძალიან ჩაიხლართა, მაგრამ, ჩანს, ამ კვირაში ყველაფერს ნათელი მოეფინება.

ორიოდ დღის წინ გაცნობეთ, რომ კალაძე მოსკოვში უნდა შეხვედროდა „ჩელსის" მფლობელ რომან აბრამოვიჩს. შეხვედრა გუშინ შედგა. ამავე დროს კი, ლონდონელთა აღმასრულებელი დირექტორი პიტერ კინიონი მილანში ჩავიდა ადრიანო გალიანისთან მოსალაპარაკებლად.

კალაძე-აბრამოვიჩის საუბრის დეტალებზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ... „ჩელსის" სურს, „მილანმა" კახას სატრანსფერო ფასს დაუკლოს — „როსონერიმ" 15 მილიონ ევროდ შეაფასა ქართველი მცველი, ინგლისის ჩემპიონები კი 10 მილიონს იხდიან.

ამასობაში „მილანის" სუპერვარსკვლავმა ანდრეი შევჩენკომ თავისი გულისტკივილი გამოხატა კახას შესაძლო ტრანსფერის გამო.

„კალაძემ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო და მას პატივი უნდა ვცეთ. მან ბრწყინვალე თამაშები ჩაატარა „მილანში", მაგრამ ბოლო ორი სეზონი უმეტესად სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ყველას სჭირდება სათამაშო პრაქტიკა, მით უმეტეს, მაღალი დონის ფეხბურთელს. მე მესმის კახასი, მაგრამ გულიც მწყდება. ჩვენს კლუბს ბევრი დიდი ფეხბურთელი გამოჰკლებია, მაგრამ კახას შემთხვევაში მე არა მარტო ფეხბურთელი, ბრწყინვალე მეგობარიც მაკლდება. აი, ეს მწყინს ყველაზე მეტად" — თქვა „შევამ".

**ილია ნანობაშვილი**

ფეხბურთის კლუბი ამერი თანაუგრძნობს
ვალერი და კობა ახალკაცებს მამის
**იური ახალკაცის**
გარდაცვალების გამო

# ეგებ ზესტაფონს სასამართლოც დასჭირდეს

## იმერელთა სატრანსფერო წადი-მოდი

*ზესტაფონში საფეხბურთო ცხოვრება დუღს. მართალია, სეზონი დამთავრდა და გუნდმაც მთავარი მიზანი — საქართველოს თასის მოგება ვერ შეძლო, მაგრამ ამით ყველაფერი არ დამთავრებულა და იმერლებიც უფრო მონდომებით ემზადებიან საახალსეზონოდ...*

**სადღეისოდ** მთავარი ყურადღება ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონს ეთმობა. თვეზე მეტია, იმერელთა სარბიელზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს და, ერთ თვეში თანამედროვე სტანდარტების კოხტა სტადიონი გვექნებაო, ირწმუნებიან ზესტაფონელები.

— დრენაჟი უკვე მზადაა. ახლა სარწყავი სისტემის დამონტაჟებაზე ვმუშაობთ და მალე მინდვრის საფარსაც დავაგებთ — გვითხრა გუშინ კლუბის პრესსამსახურის უფროსმა სერგო ფუტკარაძემ.

ზესტაფონელები პარალელურად ტრიბუნების ასაშენებლადაც მუშაობენ. გეცოდინებათ, „ცენტრალურს" ამჟამად ორი ტრიბუნა აქვს, რომელთაგან მთავარი გადახურულია. აქამდე გეგმაში იყო ორივე ტრიბუნის შელამაზება და კარსუკან მესამის აგება, თუმც კლუბის პრეზიდენტ ილია კოკაიას გადაწყვეტილებით, მეოთხე ტრიბუნის დამატებასაც აპირებენ. ოღონდ...

ვინც ზესტაფონის სტადიონზე ნამყოფი არ ხართ, გეტყვით, რომ „ცენტრალურის" მეორე (არამთავარ) შესასვლელთან, ანუ იმ მხარეს, სადაც მეოთხე ტრიბუნის აგება იგეგმება, ბენზინგასამართი სადგურია, რამაც შესაძლოა, ზესტაფონელებს პრობლემები შეუქმნას. შევიტყვეთ, რომ კლუბის ხელმძღვანელებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკება ამ საკითხის თაობაზე და თუ ვერ შეთანხმდნენ, ვინძლო, საქმე სასამართლომდეც კი მივიდეს.

ახლა ფეხბურთელებზეც ვთქვათ: უკვე გაცნობეთ, რომ „ზესტაფონში" ალბათ აღარ დარჩებიან ზაზა ზირაქიშვილი, ვალტერ გუჩუა და ლევან შავგულიძე. ამბობენ, ზურაბ ქვაჩახიას, მიხეილ ბესარაშვილისა და გიორგი სომხიშვილის წასვლაც რეალურიაო, მაგრამ ამ ინფორმაციის უტყუარობაზე ვერაფერს გეტყვით. სამაგიეროდ, სასურველ ფეხბურთელთა სიაც არანაკლებია: ზესტაფონელებს „თბილისიდან" გოგი ფიფიას, შოთა ჯიქიას, გიორგი ფოფხაძის, სოსო გრიშიკაშვილისა და რევაზ ქემოკლიძის გადაბირება სურთ, „ლოკომოტივიდან" კი მიხეილ მახვილაძეა კონტრაქტთან ახლოს.

ასე რომ, „ზესტაფონი" სერიოზულ სამზადისშია...

**ქახა ზალამბერიძე**





# თბილისი და თბილისელები ვერ მორიგდნენ

## 20 ივნისს მეორე რაუნდია

**გასული** სეზონის მეორე ეტაპის წინ „თბილისმა" ყველა ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა, თუმც გუნდმა რამდენიმე მათგანი მერე მაინც დაიტოვა, თასის ნახევარფინალში გავიდა, ხოლო ჩემპიონატში მესამე ადგილს უწია და ინტერტოტოს საგზურიც მოიპოვა. მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ ევროსარბიელზე თამაში იუარა და შესაძლოა, კვლავ ტრანსფერზე დააყენოს ფეხბურთელები, ან სულაც უმაღლეს ლიგაში აღარ ითამაშოს.

გუშინ „თბილისის" მესვეურთა და ფეხბურთელთა კრება გაიმართა. მოთამაშეებმა თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს — ნუ დაგვშლით, ერთად ყოფნა და თამაში გვსურსო. მაგრამ ვინ დააფინანსებს ასეთ „თბილისს"? კლუბის ხელმძღვანელობა წავა ამ ნაბიჯზე?

კრებას რამდენიმე ფეხბურთელი ვერ დაესწრო, მათ შორის რევაზ ქემოკლიძეც. მოკლედ, გუშინდელ კრებაზე ვერაფერი გადაწყდა, „თბილისი" მორიგ კრებას 20 ივნისს ჩაატარებს და ალბათ ყველაფერი მაშინ გაცხადდება.

ჯერჯერობით კი „თბილისიდან" არც ერთი ფეხბურთელი არ წასულა.

**დავით თავართქილაძე**

# ანზორ კალაძემ მოსკვას მიაგნო

**21 წლის** მცველი ანზორ კალაძე „თბილისიდან" წასვლის შემდეგ უგუნდოდ დარჩა. მან ამ ზამთარს ჯერ „სატურნის", მერე კი მოსკოვის „სპარტაკის" სარეზერვო გუნდებს მიაშურა, რამდენიმე მატჩი ითამაშა კიდეც, მაგრამ ფეხი ვერ მოიკიდა. ამჟამად კი კალაძე „მოსკვას" ფარმ-კლუბშია და მიუხედავად იმისა, რომ თავადვე ამბობს, მთლად კარგ ფორმაში არ ვარო, მაინც იმედიანადაა.

„რუსეთის დუბლების ჩემპიონატში მუდმივად ვთამაშობ. ჩვენს გუნდს ლეონიდ სლუცკი წვრთნის, რომელიც ადრე ელისტის „ურალანშიც" ჩემი მწვრთნელი იყო. სლუცკისთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ დავრჩები თუ არა ამ გუნდში, ჯერ არ ვიცი. თუ „მოსკვას" მთავარი გუნდის განაცხადში ჩამრიცხავენ და ნორმალურ ხელფასს დამინიშნავენ, მაგას რა აჯობებს. ვნახოთ, სლუცკის საკმაო ავტორიტეტი აქვს და იმედია, „მოსკვას" მთავარ გუნდში რეკომენდაციას გამიწევს".

ანზორ კალაძემ არც რომელიმე ქართულ კლუბში გადასვლა გამორიცხა, დაინტერესება არ ყოფილა, თორემ პირობები თუ მომეწონა და თბილისური გუნდის ვარიანტი გამოჩნდა, მაშინ ვიფიქრებ, თორემ გორში და ფოთში წამსვლელი არ ვარო.



„ისეთ ასაკში ვარ, სათამაშო პრაქტიკა მჭირდება. „სატურნის" ფარმკლუბში პირობები არ მომეწონა, „სპარტაკში" კი ახალგაზრდულ გუნდში ჩამსვეს, რამდენჯერმე ვითამაშე, მაგრამ არც იქ მილირდა დარჩენა" — მოკლედ, კალაძეს „მოსკვასი" და სლუცკის სიტყვისა ეიმედება.

**ილია ნანობაშვილი**

# ცოცხალი თავით ასს ქვემოთ

**ა, ბატონო,** ფიფა-კოკა კოლას მორიგი რეიტინგი და მორიგი უკუსვლა. ლამის ორი წელია, საქართველოს ნაკრებს 99-ე ადგილამდე არ აუღწევია — დაფიცებულივით მყარად ზის მეორე ასეულში. წინა თვის რეიტინგში ალენ ჟირესის გუნდი მე-100 იყო, ალბანეთში წაგებამ კი ორი ადგილით დააქვეითა.

შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქეები, საბერძნეთი, თურქეთი და დანია კვლავ ოცეულში არიან, უკრაინას კი საბერძნეთთან მოგებამ მთელი 23 ქულა შესძინა და 35-ე პოზიციამდე აანაცვლა. ქართველთა კარგად ნაცნობი ალბანეთი 93-ედან 86-ზე გადახტა, ყაზახეთზე კი სალაპარაკოც არაფერია.

რეიტინგის ყოჩი კი, ცხადია, ისევ ბრაზილიაა.

Coca-Cola

FIFA WORLD RANKING

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | ბრაზილია | 829 | 15 | 15 | ირლანდია | 714 |
| 2 | 2 | ჩეხეთი | 790 | 16 | 19 | *დანია* | 713 |
| 3 | 3 | არგენტინა | 785 | 17 | 18 | ირანი | 711 |
| 4 | 5 | ჰოლანდია | 783 | 18 | 17 | იაპონია | 710 |
| 5 | 4 | საფრანგეთი | 765 | | 16 | ურუგვაი | 710 |
| 6 | 7 | მექსიკა | 759 | 20 | 21 | კორეა | 696 |
| 7 | 6 | ინგლისი | 757 | | | | |
| 8 | 9 | პორტუგალია | 755 | 35 | 39 | *უკრაინა* | 640 |
| 9 | 8 | ესპანეთი | 747 | | | | |
| 10 | 11 | აშშ | 744 | 86 | 93 | *ალბანეთი* | 503 |
| 11 | 10 | იტალია | 725 | | | | |
| 12 | 13 | შვედეთი | 722 | 102 | 100 | საქართველო | 467 |
| 13 | 12 | *საბერძნეთი* | 720 | | | | |
| 14 | 14 | *თურქეთი* | 719 | 148 | 147 | *ყაზახეთი* | 302 |

I გრაფა — ადგილი; II — ადგილი წინა თვეში; III — ქვეყანა; IV — ქულა


ბადრი ქავთილაძის ფოტო

# ბარსელონა ქართველ ბავშვებს ჩაეხუტა

*„სილქ როუდის" მეშვეობით „ბარსელონა" და „ლოკომოტივი" დაახლოვდნენ; სექტემბერში საქართველოში დავით ყიფიანის სახელობის ბავშვთა საფეხბურთო სკოლა გაიხსნება, გამორჩეულად ნიჭიერებს კი „ბარსელონა" წაიყვანს სტაჟირებაზე...*

*გუშინაც ვწერდით, რომ თბილისში ორი ბარსელონელი სტუმარი ჩამოვიდა: ჟოზეფ გომბაო, „ბარსას" ფარმ-კლუბის კოორდინატორი, 1995 წელს დაბადებულთა მწვრთნელი და კამერუნელი სამუელ ეტოოს კემპის დირექტორი და იაგო აგილარი, კოორდინატორი და მწვრთნელი, ვინც ყიფიანის სახელობის სკოლის მთავარი მწვრთნელიც იქნება...*

გუშინ ორივე ბარსელონელმა, ასევე „ლოკომოტივის" გენერალურმა დირექტორმა ლევან ყიფიანმა და „სილქ როუდის" ესპანელმა წარმომადგენელმა სებასტიან მოლინამ პრესკონფერენციაზე მიგვიწვიეს.

სებასტიან მოლინამ თქვა, გომბაო და აგილარი ბარსელონურ სამწვრთნელო მეთოდებს გადმოიტანენ დავით ყიფიანის სკოლაშიო. ორივე კატალონიელი რამდენიმე დღე დარჩება საქართველოში, თუმცა აგილარი სექტემბერშიც ჩამოვა და მუშაობასაც დაიწყებს.

ლევან ყიფიანი ამ პროექტს ევროპული ფანჯრის გაღებას უწოდებს: „ქართველებს გვაქვს ნიჭი, მაგრამ მისი განვითარება ცუდად ხდება. ჩვენ მუშაობას ბავშვთა ფეხბურთიდან ვიწყებთ.

...დავით ყიფიანის სკოლისთვის ძირითად სახსრებს „სილქ როუდი" გაიღებს, დიდად გვეხმარება რკინიგზის დეპარტამენტიც. ყველა მსურველს შეუძლია, ამ პროექტში ფული დააბანდოს. ხომ წარმოგიდგენიათ, ერთი ან ორი ქართველიც რომ მოხვდეს „ბარსელონაში", რამხელა საქმე იქნება. ჩვენ გვინდოდა, მწვრთნელებისთვისაც მიგვეცა სტაჟირების შანსი, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველ მწვრთნელებთა უმეტესობამ უცხო ენა არ იცის. არადა, აგერ, აგილარმა ინტერნეტში მოიძია ესპანურ-ქართული ლექსიკონი და ქართულ სიტყვებს სწავლობს".

მსოფლიოს ყველა ძლიერი კლუბი ეძებს ტალანტებს სხვადასხვა ქვეყანაში და, ცხადია, „ბარსაც" მათ შორისაა. მსგავსი პროექტებით კატალონიელები საქართველოს გარდა მექსიკაში, მალაიზიაში, სომხეთსა და აზერბაიჯანშიც მუშაობენ.

რამდენად რეალურია, სამუელ ეტოომ დავით ყიფიანის სკოლაში საჩვენებელი კემპი მოაწყოს? გომბაომ ეს გამორიცხა, თავად „ბარსას" ბავშვებიც კი ვერ ნახულობენ ეტოოს, იმდენად დაკავებულია კამერუნელიო.

ბუნებრივია, ბარსელონელებს საინტერესო სხვაც ბევრი შევეკითხეთ: მაგალითად, გავიგეთ, რომ მადრიდის „რეალსა" და „ბარსას" ფეხბურთელები მხოლოდ მინდორზე არიან მტრები, გარეთ კი ერთმანეთთან მეგობრობენ. ბავშვებში ეს შუღლი საერთოდ არ იგრძნობა, რა თქმა უნდა, „რეალთან" თამაშისას ჩვენს ბავშვებს მოტივაცია ეზრდებათ, მაგრამ ეს სპორტული სიბრაზეა და მეტი არაფერი.

დღეს „ბარსელონაში" ამავე კლუბის ბავშვთა სკოლის აღზრდილი ხუთი ცნობილი ფეხბურთელია (პუიოლი, ხავი, ოლეგერი, ვიქტორ ვალდესი, ინიესტა...). ეს ესპანელები, თორემ უცხოელებიდან „ბარსას" სკოლა აქვთ გავლილი ბრაზილიელ ტიაგო მოტასა და 18 წლის არგენტინელ ლეო მესის. კატალონიელმა სტუმრებმა ისიც გვითხრეს, ჩვენთან საათივითაა საქმე აწყობილი, მარტო პრიმერადივიზიონის სხვადასხვა კლუბებში „ბარსას" 50-მდე აღზრდილი თამაშობსო.

აგილარსა და გომბაოს „ლოკომოტივის" ბავშვთა გუნდების თამაში უკვე უნახავთ. „თქვენ ძლიერი ბავშვები გყავთ, მთავარი განსხვავება ტემპში, დაცვის ორგანიზაციასა და დაცვიდან თავდასხმაში სწრაფად გადაწყობაშია. სექტემბერში უფრო ნაყოფიერ მუშაობას დავიწყებ, „ბარსელონას" სისტემას და ვარჯიშებს დავგეგმავ" — თქვა აგილარმა.

და კიდევ, კატალონიელმა სტუმრებმა და ლევან ყიფიანმა „ბარსას" და „ლოკომოტივის" მაისურები გაცვალეს. ვინ უფრო კარგი საჩუქარი მიიღო, ალბათ იოლი გამოსაცნობია — თანაც „ბარსელონას" მაისურას რონალდინიოს ავტოგრაფი ამშვენებდა.

**ილია ნანობაშვილი**

# იაშვილი და რეინჯერსი

## საქმე უკვე იურიდიულად ირჩევა

**20 წლის** სანდრო იაშვილის თბილისის „დინამოდან" „გლაზგო რეინჯერსში" გადასვლის საკითხი გადამწყვეტ ფაზაში შედის.


ბადრი ქავთილაძის ფოტო

ახალი ამ საქმეში ისაა, რომ თბილისიდან გლაზგოში უკვე გააგზავნეს იაშვილის საბუთები, ხოლო „რეინჯერსი" ამ დოკუმენტაციას ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტში წარადგენს. წინასწარი ინფორმაციით, ეს დეპარტამენტი ჯერ არ აპირებს, იაშვილისთვის მუშაობის ნებართვა გასცეს.

იაშვილი საქართველოს, ანუ არაევროკავშირული ქვეყნის მოქალაქეა და მას ეროვნულ ნაკრებში სეზონში მატჩების დაახლოებით 75 პროცენტი უნდა ჰქონდეს ნათამაშევი, რათა ბრიტანულ გუნდში ჩარიცხვის უფლება მისცენ.

იაშვილს ეროვნულ ნაკრებში სულ სამჯერ უთამაშია, ისიც შარშან კვიპროსის ტურნირზე, თუმც სანდროს ასაკობრივ ნაკრებებში თამაშის კარგი სტაჟი აქვს და ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტი ალბათ ამას გაითვალისწინებს კიდეც. მოკლედ, იურიდიული ბარიერი გადაულახავი არ ჩანს. მთავარი ალბათ „რეინჯერსის" სურვილია — „ჩაფრებს" იაშვილი რომ არ სურდეთ, „რეინჯერსში" სანდროს საბუთებს არავინ გააგზავნიდა. შესაძლოა, იაშვილს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რეკომენდაციაც დასჭირდეს — იაშვილი ნიჭიერი ფეხბურთელია და ეროვნული ნაკრების კანდიდატიცაა — ამგვარი რეკომენდაციის აუცილებლობა ალბათ იქნება. დაახლოებით იგივე ვითარება იყო 2000 წელს, როცა რატი ალექსიძე თბილისის „დინამოდან" „ჩელსიში" გადადიოდა და მაშინ ეს საკითხი დადებითად გადაწყდა.

**დავით თავართქილაძე**

# სიონმა კოშკა დაიჭირა

## ბოლნისელ დინამოელებს შალამბერიძეც მიემატება?

**ბოლნისის „სიონმა"** უკვე მესამე ფეხბურთელი დაიმატა — მეკარე დავით გვარამაძე. გეცოდინებათ, ცოტა ხნის წინ ქვემოქართლელებმა „დინამო 2"-დან ექვსი თვით ინათხოვრეს ჯაბა დვალი და გიორგი ქუცურუა, გვარამაძე კი „ლოკომოტივიდან" გადაიბირეს.

საქართველოს ნაკრების ყოფილ გოლკიპერს „სიონში" მინდია ბობღიაშვილთან მოუწევს კონკურენცია. შეგახსენებთ, რომ „კოშკას" გასული სეზონის მეორე ეტაპზე ტრავმა აწუხებდა და, ფაქტობრივად, არ უთამაშია, ახლა კი ჯანმრთელადაა.

ბოლნისელები 20 ივნისს იკრიბებიან და ახალი ფეხბურთელების დამატებას კიდევ გეგმავენ. მათ შორის „დინამო 2"-დან 20 წლის კობა შალამბერიძის ტრანსფერზეცაა ლაპარაკი, თუმც ეს საქმე ჯერჯერობით არ გადაწყვეტილა.

**ილია ნანობაშვილი**

# თვალი თვალი



*სკამები არის? არის. მაგრამ ვინც იტყვის, რომ ეს სკამებია...*

*ეს სკამები, თან რომ არის და თან არც არის, ქუთაისის „ტორპედოს" სტადიონის ტრიბუნებზეა.*

*ამბობენ, ქუთაისში გულშემატკივრებს სტადიონზე ქვები ყუთებით შეაქვთო. არ გვჯერა: ამ ქვა-ღორღიან ტრიბუნაზე კაცმა სასროლი მასალა ვერ იპოვო და გარედან შეიტანო, ან ბრმა უნდა იყო, ან სულაც...*



# მაშ, ოლდ ტრეფორდი, მაიკლ?

**ისეთი** პირი უჩანს, რომ მაიკლ ოუენი მადრიდის რეალს მიატოვებს.

გუშინ ოუენმა განაცხადა, რომ „ჩელსიში" თამაშზე უარს იქნება. ჟოზე მაურინიუ დიდ პატივსაც სცემს მაიკლს, მაგრამ მის სავაჭრო სიაში ოუენს პირველ სტრიქონებზე ვერ იპოვნით.

ოუენის ყველაზე დიდი მსურველი ჯერჯერობით „მანჩესტერია" — ამბობენ, რომ ალექს ფერგიუსონს თითქმის მოგვარებული აქვს მაიკლის „ოლდ ტრეფორდზე" გადაყვანის საკითხი.

**ირაკლი გამყრელიძე**

# კეროლს აპტონ პარკზე ელიან




როი კეროლი

**კურიოზული** გოლების გაშვებით ცნობილი „მანჩესტერის" ყოფილი მეკარე როი კეროლი აგვისტოდან პრემიერლიგაში დაბრუნებული „ვესტ ჰემის" კარში ჩადგება. „ვესტ ჰემის" ბოსმა ალან პერდიუმ თქვა, რომ კლუბი 27 წლის ჩრდილოირლანდიელთან კონტრაქტს მალე გააფორმებს.

ბოლო ოთხ წელიწადს კეროლი „მანჩესტერში" იყო და იქ 70-ჯერ იდგა კარში. განსაკუთრებით ხშირად, წლეულს.

გასულ სეზონში როი კეროლმა რამდენიმე დაუვიწყარი შეცდომა დაუშვა: მაგალითად, 4 იანვარს ტოტენჰემელმა პედრუ მენდესმა შორიდან ჩაუკიდა ბურთი და კეროლმაც ის ხაზსიქიდან გამოიტანა. თუმცა, მსაჯებმა ვერ დაინახეს.

ჩემპიონთა ლიგის მატჩში „მილანის" წინააღმდეგ როი კეროლმა ერნან კრესპოს დარტყმული გაუშვა „ოლდ ტრეფორდზე": ასევე პირადი შეცდომით და ამ გოლმა „მანჩესტერს" წააგებინა.

**ირაკლი გამყრელიძე**

# არ გინდივარ და ნუ გინდივარო

**ჩელსელმა** სკოტ პარკერმა, რომელსაც ჟოზე მაურინიუს ხელში არც უთამაშია, საოცნებო, ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ნიუკასლთან" და განაცხადა, ამ კონტრაქტს ალან შირერს უნდა ვუმადლოდეო.

პარკერი, რომელიც კლაუდიო რანიერიმ მიიყვანა „სტემფორდ ბრიჯზე" „ჩარლტონიდან", მაურინიუმ არ ათამაშა, რასაც მისი ტრავმაც ზედ ერთვოდა.

24 წლის ნახევარმცველმა თქვა: „ყველამ იცის, რომ ალან შირერი დიდი ფეხბურთელია, მაგრამ როგორი ლიდერი და ადამიანია, მხოლოდ ფეხბურთელებმა ვიცით. ის ისე მელაპარაკა, როგორც ძმა და ისიც მითხრა, რომ ბედნიერებაა 52 ათასი გულშემატკივრის წინაშე თამაში. მე რამდენიმე კლუბი მეპატიჟებოდა და ალანმა იმდენი ქნა, რომ თავისიანებიც აჩქარა და მეც. მოკლედ, ახლა ერთი სული მაქვს, სეზონის დაწყებამდე. თამაში მომენატრა და თანაც „ნიუკასლი" ძალიან მომწონს".

**ირაკლი გამყრელიძე**




სკოტ პარკერი კარიერას „ნიუკასლში" გააგრძელებს

*იტალიურმა პრესამ მოულოდნელად გაავრცელა ინფორმაცია, რომ არ არის გამორიცხული, ერნან კრესპომ „მილანი" დატოვოს. მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ თავად ფეხბურთელმა აღნიშნა, ყველაფერი შეთანხმებულია და მომავალ სეზონსაც „სან სიროზე" გავატარებო, თუმც შესაძლოა, შეთანხმება ბოლო მომენტში ჩაიშალოს.*

# ჩელსიმ გადაამეტა

## ჩვენი კრესპო თქვენ, შევჩენკო-გატუზო-კალაძე ჩვენ




ანდრეი შევჩენკო და ერნან კრესპო ახალი სეზონიდან შესაძლოა, თანაგუნდელები აღარ იყვნენ

**საქმე ისაა,** რომ „მილანს" არ მოსწონს „ჩელსის" გადამეტებული ინტერესი ანდრეი შევჩენკოსა და ჯენარო გატუზოსადმი. ამან კლუბებს შორის ურთიერთობა დაძაბა და მალე ეგებ ყოველგვარი მოლაპარაკება შეწყდეს.

ფაქტი ერთია, თუ კრესპო „მილანში" არ დარჩა, ნათელია, რომ „როსონერის" სულ ცოტა, ერთი მაღალი კლასის ფორვარდი ნამდვილად დასჭირდება. ეს კი სავარაუდოდ, ალბერტო ჯილარდინოა, რომლის „სან სიროზე" გადაბარგებასაც დღე-დღეზე ელიან. თუმც შემცილებელი სხვებთან ერთად აქაც „ჩელსია".

„მომავალ კვირაში ჩვენ ალბერტოსთან კიდევ ერთხელ დავილაპარაკებთ და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მივიღებთ. მინდა, ვთქვა, რომ ყველას წინადადებას განვიხილავთ და ვეცდებით, საუკეთესო შევარჩიოთ. თუმც მნიშვნელოვან როლს თავად ჯილარდინოს არჩევანი ითამაშებს" — თქვა „პარმას" ტექნიკურმა დირექტორმა ორესტე ჩინკინიმ.

**გიორგი ძაძაბაძე**

# დეკომ აგენტს ბარსა შეუქვეთა

**გაპორტუგალიელებულმა** ბრაზილიელმა დეკომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „ბარსელონადან" წასვლას არ აპირებს. ამის შესახებ მან იაპონური ტურნეს დროს განაცხადა.

„მე აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და „ბარსაში" დიდი ხნით თამაში მსურს. ჩემ აგენტს უკვე ველაპარაკე. იგი კლუბის თავკაცებს შეხვდება და, ვფიქრობ, კონტრაქტის გაგრძელებას წინ ველარაფერი დაუდგება" — თქვა დეკომ და არც ის დაუმალავს, რომ სეზონის დასრულებისთანავე მას ევროპის ბევრი ბობოლა კლუბი დაუკავშირდა. ოღონდ ეგაა, ამ კლუბების გამხელისგან თავი შორს დაიჭირა — „იმ გუნდების დასახელებას, რომლებსაც ჩემი გადაბირება სურთ, ვფიქრობ, აზრი არ აქვს. მე ისინი უარით გავისტუმრე, რადგან, ვიმეორებ, „ბარსელონადან" წასვლას არ ვაპირებ".

პორტუგალიელს კატალონიური კლუბის სამომავლო გეგმებზეც დაეკითხნენ. დეკოს პასუხი ასეთი იყო: „ისეთი გუნდი, როგორიც „ბარსელონაა", შეუძლებელია, ერთ ადგილზე გაჩერდეს. ჩვენ მოვიგეთ პრიმერადივიზიონი, მაგრამ ეს აღარ გვაკმაყოფილებს და ახალ სეზონში ესპანეთში პირველობასთან ერთად, ჩემპიონთა ლიგის მოგებასაც ვეცდებით".

თუ დეკომ ოცნება აისრულა, იგი ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი შეიქნება. შეგახსენებთ, რომ ჟოზე მაურინიუს გაწვრთნილ „პორტუში" მოთამაშე დეკოს 2004 წლის ჩემპიონთა ლიგა მოუგია.

**ძახა ხურციძე**



დეკო „ბარსელონაში" ბედნიერია

„ინტერი“ არგენტინელ ფეხბურთელებზე ნადირობას განაგრძობს. „ნეროაძური“ „ჩელსისთან“ მოლაპარაკებას აგრძელებს, რათა ხუან სებასტიან ვერონი ბოლომდე გამოისყიდოს. ამით თავად ნახევარმცველიც დაინტერესებულია, მაგრამ „სან სიროზე“ დარჩენას მხოლოდ ერთი სეზონით აპირებს და არც ახლავე წასვლას გამორიცხავს

# მილანში არგენტინელებს გადაეკიდნენ



სანტიაგო სოლარი

„საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მივიღებ. შემიძლია, გითხრათ, რომ თუ დავრჩები, მხოლოდ ერთი სეზონით. შემდეგ კარიერას სამშობლოში გავაგრძელებ. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, ილუზიებს არ ვიქნი, ჩემთვის უცნობი მიზეზების გამო ხოსე პეკერმანს არ მოვწონვარ და, შესაბამისად, მუნდიალზეც არ ვითამაშებ“ — თქვა ვერონმა.

პარალელურად მილანელები „რეალთან“ აწარმოებენ მოლაპარაკებას და გავრცელებული ცნობით, მადრიდელთა ორი არგენტინელი ლეგიონერი — სანტიაგო სოლარი და ვალტერ სამუელი — მომავალ სეზონში „შავ-ლურჯ“ მაისურას მოირგებს. მოგეხსენებათ, დიდი ხანია „ინტერი“ ამ მოთამაშეებს უტრიალებს.

როგორც ამბობენ, სამუელი მომავალ სეზონში „სან სიროზე“ იჯარის წესით იბურთავებს, მერე კი „ინტერი“ მას ბოლომდე გამოისყიდის. სავარუდო ფასი, რომელიც მადრიდელებს აკმაყოფილებთ, 16 მილიონი ევროა. თანაც „რეალი“ ერთ არაევროკავშირელ ფეხბურთელს მოიშორებს და რობინიოს თავისუფლად შეძენას შეძლებს.

თუმც ეს ტრანსფერი ეგებ თავად სამუელმა ჩაშალოს. იგი ჯერ ვერ დაიყოლეს „ინტერში“ გადასვლაზე. თანაც „ნეროაძური“ მისი ხელფასის შემცირებას აპირებს. ამჟამად არგენტინელი სეზონში 3,6 მილიონ ევროს იღებს.

რაც შეეხება სოლარის, ვრცელდება ინფორმაცია, რომ „რეალმა“ და „ინტერმა“ ამ ტრანსფერზეც მოილაპარაკოს — მადრიდელები 3 მილიონ ევროს მიიღებენ. ხოლო ფეხბურთელი თავის ახალ გუნდთან ალბათ სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ოფიციალური განცხადების გაკეთება უახლოეს დღეებშია ნავარაუდევი.

გარდა ამისა, „ინტერი“ ამანტინო მანსინისაც ეპიტიჟება და, ჭორების თანახმად, საცაა ხელში ჩაიგდებს. იტალიური პრესა იუწყება, „რომამ“ უკვე ბრაზილიელების შემცვლელიც შეარჩიაო. საუბარია „მესინას“ სერბ ნახევარმცველ ივიცა ილიევზე, რომელიც ალბათ მალე ოფიციალურად ჩაირიცხება „გლადიატორთა“ რიგებში.

**გიორგი ძაძაგაძე**

# საინტერესო და ამაღელვებელი

**ფლორენციის** „ფიორენტინა“ სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას განაგრძობს. „იებმა“ უკვე შეძლეს „მილანთან“ მოლაპარაკება და მარკო დონადელი დაიმატეს. ახალგაზრდა ფეხბურთელი „არტემიო ფრანკიზე“ 2008 წლამდე დარჩება. შეთანხმების ფინანსური მხარე არ ხმაურდება.

სპეციალური განცხადება გააკეთა ჩეხი მცველის ტომაშ უიფალუშის აგენტმა პაველ პაშკამ, რომელმაც თავისი კლიენტის „რეალში“ გადასვლა გამორიცხა. შეგახსენებთ, რომ ამბობდნენ, „რეალი“ 27 წლის ფეხბურთელში 7 მილიონ ევროს იხდის და „ფიორენტინაც“ თანახმააო.

პაველ პაშკა: „ეს ყველაფერი ჟურნალისტების მოგონილია. ტომაში ამჟამად სამშობლოში ისვენებს. გარწმუნებთ, იგი გუნდში რჩება“.

ამასობაში, „უდინეზეს“ ფორვარდმა ვინჩენცო იაკინტამ განაცხადა, რომ ფლორენციელთა ინტერესი ძალიან ახარებს და მიუხედავად იმისა, რომ მისი ამჟამინდელი კლუბი ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, მზად არის, „არტემიო ფრანკიზე“ გადაბარგდეს.



ვინჩენცო იაკინტა „უდინეზედან“ ალბათ წავა

„მათ ჩემი შეძენა ადრეც სურდათ და ვფიქრობ, ახლა საუკეთესო დროა. ფლორენციელებს კარგი გუნდი და ბრწყინვალე ქომაგები ჰყავთ. „ფიოს“ მაისურას სიამოვნებით მოვირგებ“ — აღნიშნა იაკინტამ.

„ფიორენტინას“ რიგებში დარჩენა უნდა იაკინტას თანაგუნდელ მარტინ იორგენსენსაც. დანიელმა გასული სეზონი „იებში“ არენდის წესით გაატარა და უკან დაბრუნებას არ აპირებს.

განსხვავებული აზრი აქვს უდინელთა კარის დარაჯ მორგან დე სანქტისს. მან ფლორენციელებისადმი სიმპათია არ დამალა და ინტერესის გამოჩენისთვის მადლობაც გადაიხადა, მაგრამ გადაჭრით თქვა, იქ გადასვლას არ ვაპირებო.

რახან „უდინეზეზეა“ ლაპარაკი, აქვე ისიც ვთქვათ, რომ „ფრიულის“ ბინადრებმა ვეტერან არგენტინელ ნესტორ სენსინისთან ერთი წლით გაახანგრძლივეს კონტრაქტი. მოგეხსენებათ, 39 წლის მცველს კარიერა უნდა დაესრულებინა, მაგრამ მოულოდნელად გადაიფიქრა.

ნესტორ სენსინი: „ტრავმა მოვიშუშე და ვგრძნობ, რომ თამაში კიდევ შემიძლია. ამის სურვილი და მოტივაციაც მაქვს. ჩემთვის ჩემპიონთა ლიგაში თამაში ძალიან საინტერესო და ამაღელვებელი იქნება“.

**გიორგი ძაძაგაძე**



ანტონიო კასანო „რომას“ ეგებ დაშორდეს

# ყიდვა-გაყიდვა-გაცვლა
## კასანო ცალი ფეხით იუვეშია

**ტურინის** „იუვენტუსში“ ბევრი სიახლეა მოსალოდნელი. ზოგიერთი უკვე მოხდა კიდეც. კერძოდ, ოლივიე კაპო „მონაკოში“ გაანათხოვრეს, ხოლო გუნდის კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო დაქორწინდა.

რეგულარულად თამაშის მიზნით „იუვენტუსის“ დატოვების სურვილი თავად კაპომ გამოთქვა, მაგრამ ტურინელები მას ბოლომდე ვერ შეელივნენ და მხოლოდ განათხოვრებას დასთანხმდნენ. შეთანხმების დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება.

რაც შეეხება დელ პიეროს, მან თავის დიდი ხნის შეყვარებულზე, სონია ამორუზოზე დაიწერა ჯვარი. გასაიდუმლოებული ცერემონია გასულ კვირას, ტურინის „სან კრატოს“ ტაძარში გაიმართა და, გავრცელებული ცნობით, მას მხოლოდ 12 ადამიანი დაესწრო. წყვილი თაფლობის თვეს პოლინეზიაში გაატარებს.

ამასობაში, „ბებერი ქალბატონი“ კიდევ უფრო მიუახლოვდა ანტონიო კასანოს. იტალიური პრესა გვამცნობს, რომ მხარეებმა ყველაფერი შეათანხმეს — „რომა“ 11 მილიონ ევროს მიიღებს, ახალგაზრდა თავდამსხმელი კი „იუვესთან“ ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. პრობლემა მხოლოდ ისაა, რომ „დელე ალპის“ ბინადრებს ჯერ ეს თანხა ხელზე არ ჰქონიათ.

ის, რომ ახალი ფეხბურთელების ყიდვამდე ტურინელებს ჯერ ძველების გასხვისება მოუწევთ, კიდევ ერთხელ დაადასტურა გუნდის პრეზიდენტმა ფრანცო გრანდე სტივენსმა.

„ჩვენ ზაფხულში კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს შევიძენთ, მაგრამ იქამდე რამდენიმეს გაყიდვაც მოგვიწევს. თუმც წამყვანი მოთამაშეები გუნდს არ დატოვებენ“ — აღნიშნა სტივენსმა.

უკვე ალაპარაკდნენ იმაზეც, რომ „იუვენტუსი“ კასანოს ფულის შოვნას მარსელო ზალაიეტასა და ფაბრიციო მიკოლის გაყიდვით აპირებს. მოგეხსენებათ, სათადარიგოთა სკამზე გატარებული არაერთი სეზონის შემდეგ, ტურინელთა ურუგვაელმა ლეგიონერმა წასვლის ნება ითხოვა და უკვე დადებითი პასუხიც მიიღო. „ბებერი ქალბატონი“ ზალაიეტაში 5 მილიონს ითხოვს. დაახლოებით ამავე ფასში მიჰყიდიან „ფიორენტინას“ მიკოლის კონტრაქტის მეორე ნახევარს.

დიდი შანსია, წამსვლელთა შორის აღმოჩნდნენ — სტეფან აპია, იგორ ტუდორი, მანუელე ბლაზი და ნიკოლა ლეგროტალიე. როგორც ამბობენ, შესაძლოა, უკანასკნელი ორი მათგანი „ლაციოში“ გაანათხოვრონ. ტუდორს „სამპდორია“ უტრიალებს, აპიათი კი რამდენიმე ინგლისური კლუბია დაინტერესებული.

რაც შეეხებათ მომსვლელებს, კასანოს გარდა, „იუვენტუსის“ სახელს კვლავ დაუკავშირეს „არსენალის“ ორი ფეხბურთელი — სოლ კემპბელი და პატრიკ ვიეირა.

და ერთი საინტერესო ინფორმაციაც: „ბებერმა ქალბატონმა“ პაველ ნედვედს კონტრაქტის ორი წლით გახანგრძლივება შესთავაზა. შეგახსენებთ, რომ 32 წლის ჩეხი მომავალი სეზონის შემდეგ კარიერის დასრულებას აპირებდა, მაგრამ ახლა შესაძლოა, გადაიფიქროს.

პაველ ნედვედი: „გუნდმა ახალი, ორწლიანი კონტრაქტი შემომთავაზა. ამ წინადადებას სიფრთხილით ვეკიდები, რადგანაც ეს დიდი დროა. მართალია, თამაში მინდა და ტრავმებიც თავს აღარ მახსენებს, მაგრამ შეიძლება, უცებ ყველაფერი შეიცვალოს. ამიტომაც გადაწყვეტილების მიღებას არ ვჩქარობ“.

**გიორგი ძაძაგაძე**

# მილოშევიჩს პარტიზანობა უნდა



სავო მილოშევიჩი (მარჯვნივ)

**„ოსასუნას“** ცნობილი სერბი მოიერიშე სავო მილოშევიჩი გაისად სავარაუდოდ, თავის ყოფილ კლუბში, ბელგრადის „პარტიზანში“ ითამაშებს.

„ვთვლი, რომ ჩემთვის სამშობლოში დასაბრუნებლად ახლა საუკეთესო დროა. თუ „პარტიზანი“ დამიძახებს, გარწმუნებთ, ჩემი მხრიდან არავითარი პრობლემა არ იქნება. „ოსასუნაში“ კონტრაქტით, კიდევ ორი წელი უნდა მეთამაშა, მაგრამ...“ — განაცხადა მილოშევიჩმა ბელგრადული „სპორტსკი ჟურნალისადმი“ მიცემულ ინტერვიუში.

**ლადო ხომერიკი**

# ამხანაგური მატჩი




იაპონიაში „ბარსელონას“ ქომაგობა ნამდვილად არ აკლდა

# ლარსონმა ბიჭებს გოლები აჩვენა

**ურავა რედსი 0:3 ბარსელონა**
0:1 ხავი (11), 0:2, 0:3 ლარსონი (39, 77)
**ურავა რედსი:** ცუზუკი, უჩირატე, ტულიო, ორინუჩი, ოკანო (იოკოიამა 63), სუძუკი, ჰასებე, ირაკავა (კოსოგაი 63), იამარა (ნიშიტანი 80), ტანაკა, ნაგაი
**ბარსელონა:** ხორკერა, გაბრი (პიტუ 75), ოლეგერი (დამია 46), ფ. ნავარო, ვან ბრონკჰორსტი, ხავი (ვიქტორი 82), მოტა, ედმილსონი, ჟიული (ხავიტო 74), დეკო (პენია 84), ლარსონი (ლანსაროტე 82)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: ნავარო
მსაჯი: კაშიჰარა (იაპონია)
40 000 მაყურებელი

**გოლდანატრებულმა** ჰენრიკ ლარსონმა იაპონიაში გაიღალა, „ბარსელონას“ აზიური ტურნეს მეორე მატჩში „ურავა რედსს“ ორჯერ გაუტანა და თანდათან იბრუნებს იმ ფორმას, რომლის გამოც შარშან ზაფხულს ხუან ლაპორტამ „ბარსას“ კარი გაუღო.

ესპანეთის ჩემპიონის ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა, რომელმაც იაპონიაში გუნდის ლიდერები — რონალდინიო, პუიოლი და ბელეტი ვერ იახლა — ახალგაზრდების მისცა თავის გამოჩენის საშუალება. მაგალითად, „ურავა რედსთან“ მატჩში კარს სათადარიგო მეკარე ალბერტ ხორკერა იცავდა, ხოლო პიტუს, ვიქტორის, ხავიტოს, პენიას და ლანსაროტეს შესახებ, ვინძლო, თვით ბარსელონაშიც არ იცოდნენ ბევრი რამ. „ბარსას“ ოფიციალურ ვებგვერდს თუ დავუჯერებთ, ამ ბიჭებს თავი ნამდვილად არ შეურცხვენიათ და რაიკარდის ქებაც ალალად დაუმსახურებიათ.

იაპონური ტურნეს ორ შეხვედრაში კი გუნდის ლიდერები ხავი, დეკო და ჟიული იყვნენ. სწორედ ხავიმ გაუტანა პირველი გოლი „ურავა რუდსს“, ლუდოვიკ ჟიული მარჯვენა ფლანგიდან აწიოკებდა მეტოქეთა დაცვას, დეკო კი ჩვეული, ბასრი პასებით ამარაგებდა თავდამსხმელებს.

ბოლოს კი დავძინოთ, რომ „ბარსელონას“ იაპონურ საგამოფენო თამაშებს 116 ათასი მაყურებელი დასწრებია, რამაც ესპანური პრესის ცნობით, კლუბის სალარო გვარიანად შეავსო.

**სოსო ქოტორეიშვილი**



ჰენრიკ ლარსონმა (მარცხნივ) გოლის გემო ისევ გაიხსენა

# ქალთა ევროპის ჩემპიონატი 2005

ნახევარფინალი

**გერმანია 4:1 ფინეთი**

# გერმანელი ქალები ფინალში დაბერდნენ

**გერმანია** ფინალშია. შეგვიძლია ასეც ვთქვათ — გერმანია, რა თქმა უნდა, ფინალშია და რომ ვერ გასულიყო, საოცრება იქნებოდა.

საოცრების მომლოდინე თუ მაინც ვინმე იყო, გუნება მალევე წაუხდებოდა, რაკი მე-12 წუთისთვის ევროპის მოქმედი ჩემპიონები სამი ბურთით იგებდნენ.

პრესტონის „დიპდეილზე“, პირველი გოლი ინკა გრინგსმა გაიტანა ანია მიტაგის პასით. ხუთ წუთში კონი პოლერსმა დაიბრიყვა ფინელები: კერსტინ გარეფრეკსის დარტყმულმა ფინელ მცველებზე ორმაგი რიკოშეტით მიაღწია მეკარე სატუ კუნასამდე, მოგერიებულს კი პოლერსმა აუღებელი დაამატა. ამას გრინგსმა ერთი გოლიც მიაყოლა თვრამეტიოდე მეტრიდან და გერმანიის ნაკრებიც ცოტათი მოეშვა.

მოეშვა და, გოლიც უმალ გაუშვა — მინა მუსტონენმა მე-15 წუთზე ერთი გაქვითა, მაგრამ თამაშის ხასიათი ამ გოლმა, ცხადია, ვერ შეცვალა. მეორე ტაიმში ბრიგიტ პრინცმა დიდებული სოლო რეიდით ფინელებს მეოთხეც გაუტანა და გერმანელი გოგონები მიჯრით მეოთხედ გავიდნენ ევროპის ჩემპიონატის ფინალში. გრინგსმა კი ჰეთ თრიქის მითვლის ნაღდი შანსი გაუშვა.

ბარემ დავძინოთ, რომ გერმანიისთვის ეს ზედიზედ მეშვიდე ნახევარფინალი იყო.

**კოტე კეკელია**




გერმანელი ქალები ფინალში ტიტულს დაიცავენ

## შვედეთი

**ალსვენსკა. X ტური**

**გეფლე 1:2 ელფსბორგი**
**ჰალმსტადი 1:0 ჰეკენი**
**ჰამარბი 0:0 იორგრიტე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 9 | 6 | 1 | 2 | 11:5 | 19 |
| ჰალმსტადი | 10 | 5 | 2 | 3 | 17:11 | 17 |
| იურგორდენი | 9 | 5 | 2 | 2 | 16:11 | 17 |
| ჰეკენი | 10 | 5 | 1 | 4 | 17:11 | 16 |
| კალმარი | 9 | 4 | 3 | 2 | 7:5 | 15 |
| ჰელსინგბორგი | 9 | 4 | 2 | 3 | 14:12 | 14 |
| გიოტებორგი | 9 | 3 | 5 | 1 | 8:6 | 14 |
| ელფსბორგი | 10 | 3 | 3 | 4 | 14:16 | 12 |
| ჰამარბი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:13 | 12 |
| იორგრიტე | 10 | 3 | 2 | 5 | 12:17 | 11 |
| ლანდსკრონა | 9 | 3 | 2 | 4 | 13:19 | 11 |
| სუნდსვალი | 9 | 3 | 1 | 5 | 12:15 | 10 |
| გეფლე | 10 | 3 | 0 | 7 | 9:16 | 9 |
| ასირისკა | 9 | 2 | 1 | 6 | 7:11 | 7 |

## ფინეთი

**ვეიკაუსლიგა**
**IX ტური**

**ჰიკ 1:0 ჰაკა**
**კტპ 3:1 მარიეჰამნი**
**კუოპიო 0:3 ინტერი**
**ტამპერე 3:3 როვანიემი**
**ტპ-47 0:0 იარო**
**ტურკუ 0:1 ლაჰტი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 9 | 5 | 4 | 0 | 13:5 | 19 |
| ტამპერე | 9 | 5 | 3 | 1 | 13:7 | 18 |
| ინტერი | 10 | 4 | 5 | 1 | 13:3 | 17 |
| მიუპა | 8 | 4 | 3 | 1 | 12:4 | 15 |
| მარიეჰამნი | 9 | 4 | 3 | 2 | 11:10 | 15 |
| ჰაკა | 9 | 3 | 5 | 1 | 7:5 | 14 |
| კტპ | 9 | 4 | 2 | 3 | 10:10 | 14 |
| ალიანსი | 8 | 2 | 5 | 1 | 9:7 | 11 |
| ლაჰტი | 9 | 3 | 2 | 4 | 13:14 | 11 |
| ტურკუ | 8 | 2 | 2 | 4 | 5:8 | 8 |
| კუოპიო | 9 | 2 | 1 | 6 | 7:16 | 7 |
| ტპ 47 | 9 | 1 | 2 | 6 | 3:8 | 5 |
| როვანიემი | 9 | 0 | 5 | 4 | 7:15 | 5 |
| იარო | 9 | 0 | 4 | 5 | 3:14 | 4 |

## რუსეთი

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩები**

**ცსკა 1:0 სატურნი**
**ლოკომოტივი 0:0 ზენიტი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 12 | 6 | 6 | 0 | 16:3 | 24 |
| სპარტაკი | 11 | 6 | 2 | 3 | 20:11 | 20 |
| ზენიტი | 12 | 5 | 4 | 3 | 17:11 | 19 |
| მოსკოვი | 10 | 5 | 3 | 2 | 10:3 | 18 |
| რუბინი | 11 | 5 | 3 | 3 | 13:12 | 18 |
| კრილია | 11 | 4 | 4 | 3 | 10:12 | 16 |
| ტორპედო | 10 | 4 | 3 | 3 | 12:6 | 15 |
| დინამო | 11 | 5 | 0 | 6 | 13:20 | 15 |
| ცსკა | 8 | 4 | 2 | 2 | 12:3 | 14 |
| სატურნი | 11 | 4 | 2 | 5 | 9:8 | 14 |
| ამკარი | 11 | 2 | 7 | 2 | 8:10 | 13 |
| შინიკი | 10 | 2 | 5 | 3 | 7:9 | 11 |
| ტომი | 11 | 2 | 4 | 5 | 7:13 | 10 |
| ალანია | 11 | 2 | 3 | 6 | 8:18 | 9 |
| ტერეკი | 11 | 2 | 3 | 6 | 8:18 | 9 |
| როსტოვი | 11 | 1 | 3 | 7 | 5:18 | 6 |

## დანია

**სუპერლიგა. XXXII ტური**

**ოლბორგი 1:1 კოპენჰაგენი**
**ორჰუსი 1:2 ბრონდბიუ**
**ესბიერგი 0:0 მიდტიულანდი**
**ნორდსიელანდი 2:3 სილკებორგი**
**ჰერფიოლგე 2:3 ოდენსე**
**ვიბორგი 2:1 რანდერსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 32 | 19 | 9 | 4 | 59:23 | 66 |
| კოპენჰაგენი | 32 | 16 | 8 | 8 | 52:38 | 56 |
| მიდტიულანდი | 32 | 16 | 6 | 10 | 45:39 | 54 |
| ოლბორგი | 32 | 15 | 8 | 9 | 58:41 | 53 |
| ვიბორგი | 32 | 14 | 8 | 10 | 41:41 | 50 |
| ესბიერგი | 32 | 13 | 8 | 11 | 58:45 | 47 |
| ოდენსე | 32 | 12 | 9 | 11 | 59:42 | 45 |
| სილკებორგი | 32 | 12 | 8 | 12 | 47:50 | 44 |
| ორჰუსი | 32 | 11 | 6 | 15 | 47:50 | 39 |
| ნორდსიელანდი | 32 | 8 | 6 | 18 | 36:57 | 30 |
| ჰერფიოლგე | 32 | 6 | 6 | 20 | 28:70 | 24 |
| რანდერსი | 32 | 5 | 8 | 19 | 29:63 | 23 |

# ატლეტიკო, პეტროვი და ბერბატოვი




მარტინ პეტროვს თვალი მადრიდის „ატლეტიკომ“ დაადგა

**მადრიდის** „ატლეტიკოს“ ხელმძღვანელობა ახალი სეზონისთვის გუნდის გაძლიერებაზე ზრუნავს. „ატლეტიკოს“ სპორტული დირექტორი ტონი მუნიოსი ბულგარელებს, „ვოლფსბურგის“ მარტინ პეტროვსა და „ლევერკუზენის“ დიმიტარ ბერბატოვს დაუკავშირდა.

მუნიოსი გუშინ გერმანიაში გახლდათ, სადაც ხსენებული კლუბების წარმომადგენლებთან ბალკანელი სლავების თაობაზე ისაუბრა. გერმანული სპორტული პრესის ცნობით, „ატლეტიკო“ უფრო მარცხენაფლანგელი პეტროვითაა დაინტერესებული, ვინაც „ვისენტე კალდერონზე“ სავარაუდოდ, ოთხი სეზონის მანძილზე უნდა იბურთაოს.

რაც შეეხება ბერბატოვს, საქმეს აქაც საესპანეთო პირი უჩანს.

„მართლაც შესანიშნავი იქნებოდა, რომ პეტროვსა და ბერბატოვს ერთად ჩვენს გუნდში ეთამაშათ. ამით არა მარტო ბიჭები იხეირებენ, არამედ ბულგარეთის ნაკრებიც“ — თქვა მადრიდულ „ასთან“ საუბარში ემილ დანჩევმა, დიმიტარ ბერბატოვის აგენტმა.

**ლადო ხომერიკი**

Copa Toyota Libertadores '2005

## ლიბერტადორესის თასი 2005

**მეოთხედფინალი. პირველი მატჩები**

**სანტოსი (ბრაზილია) 0:2 ატლეტიკო პარანენსე (ბრაზილია)**
**ტიგრესი (მექსიკა) 2:1 სან პაულუ (ბრაზილია)**

# როგორც იქნა, 13 წლის შემდეგ...
## ინტერს თასი ტელეფონით მიულოცეს



„ინტერმა“, 1989 წლის შემდეგ პირველი შინაური ჯილდო მოიგო



მილანელებმა „რომა“ სინიშა მიხაილოვიჩის გოლით დაამარცხეს

AFP მილანიდან

### იტალია
**თასის ფინალი**
**საპასუხო მატჩი**

**ინტერი 1:0 რომა (2:0)**

1:0 მიხაილოვიჩი (52)
**ინტერი:** ტოლდო, ი. კორდობა, მატერაცი, მიხაილოვიჩი, ფავალი (გამარა 89), ზე მარია (ხ. ვერონი 87), ჯ. ძანეტი, დ. სტანკოვიჩი (ბიავა 90), კილი გონსალესი, ხ. კრუზი, ო. მარტინსი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
**რომა:** კურჩი, პანუჩი, მექსეში, კივუ (მ. ფერარი 79), კუფრე, პეროტა, დაკური (მონტელა 46; კორვია 73), დე როსი, მანსინი, ტოტი, ა. კასანო
მწვრთნელი: ბრუნო კონტი
გაფრთხილება: კუფრე, პანუჩი, მიხაილოვიჩი, სტანკოვიჩი, კუფრე, კასანო, პეროტა
გაძევება: კუფრე (66)
მსაჯი: ტრეფოლონი
60 000 მაყურებელი

**მილანის** „ინტერი“ მეტოქეს პირველ შეხვედრასთან შედარებით შესუსტებული დაუხვდა — გუნდის კაპიტანი ხავიერ ძანეტი, მისი თანამემამულე ესტებან კამბიასო და „რომას“ კარში ორი გოლის გამტანი ადრიანო კონფედერაციის თასზე გაემგზავრნენ. მიუხედავად ამისა, რობერტო მანჩინის გუნდი მთელი მატჩის მანძილზე უკეთ გამოიყურებოდა და საბოლოოდ დამსახურებულადაც იმარჯვა.

მთლიანობაში საპასუხო მატჩი ნაკლებ სანახაობრივი და საინტერესო გამოდგა. ძალიან აქტიური იყო ობაფემი მარტინსი, რომელმაც გოლი ვერ გაიტანა, მაგრამ ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. რომაელები ბევრს უხეშობდნენ, რასაც მსაჯი მატეო ტრეფოლონი ხშირად ვერ ამჩნევდა.

უღიმღამო პირველი ტაიმის შემდეგ ბრუნო კონტიმ შეტევის გაძლიერება ვინჩენცო მონტელას გამოყვანით სცადა. დედაქალაქელთა საუკეთესო ბომბარდირმა თამაში მართლაც გაამწვავა და გატანაც შეეძლო, მაგრამ, წინა მატჩის მსგავსად, ფრანჩესკო ტოლდო ამჯერადაც უშეცდომოდ გაისარჯა.

აქედან ცოტა ხანში კი სინიშა მიხაილოვიჩმა დაახლოებით 25 მეტრიდან თავისი საფირმო საჯარიმო დარტყმა შეასრულა და ყმაწვილი ჯანლუკა კურჩი უშანსოდ დატოვა.

გაჭირვებულს ქვა აღმართში დაეწიაო, ამაზეა ნათქვამი — 66-ე წუთზე ლეანდრო კუფრემ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი დატოვა. ხუთ წუთში კი მონტელა დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა.

დარჩენილ წუთებში საინტერესო არაფერი მომხდარა. „ინტერმა“ მატჩი მშვიდად მიიყვანა გამარჯვებამდე, ხოლო „რომა“ წაგებას შეეგუა. ერთადერთი ამანტინო მანსინიმ სცადა ორი შორეული დარტყმით წონასწორობის აღდგენა, მაგრამ ტოლდო კვლავ შეუვალი იყო.

საბოლოო ჯამში „ინტერმა“ საკუთარ კედლებში უამრავ ქომაგთან ერთად 1989 წლის შემდეგ იტალიის მასშტაბით მოპოვებული პირველი ტიტული იზეიმა, უშუალოდ ქვეყნის თასი კი „ნერაძურის“ 1982 წლის მერე არ მოუგო.

ბედნიერი იყო „მავ-ლურჯთა“ თავკაცი რობერტო მანჩინი, რომელმაც ეს ტიტული ფეხბურთელობისას ექვსჯერ, სამწვრთნელო კარიერაში კი უკვე მესამედ მოიპოვა. აქამდე მან „კოპა იტალია“ „ფიორენტინასა“ და „ლაციოს“ თავკაცის რანგში მოიგო.

„ძალიან გახარებული ვარ. ეს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი გამარჯვებაა. ჩემი აზრით, სწორი იქნება, თუ ამ ტიტულს მასიმო მორატის ოჯახს და ჩვენს უამრავ ქომაგს მივუძღვნით, რომლებიც დიდხანს გველოდნენ. დიდი იმედი მაქვს, ეს „ინტერში“ ახალი, წარმატებული ეპოქის დასაწყისია და გულშემატკივრებს ვთხოვ, შემოგვყვნენ“ — განაცხადა მანჩინიმ.

გერმანიიდან დარეკა და კომპლიმენტარი გააკეთა გუნდის კაპიტანმა ხავიერ ძანეტიმაც: „მე და ესტებან კამბიასომ მეორე ტაიმს ვუყურეთ და ძალიან გვწყდება გული, რომ ამ ყველაფერში მონაწილეობა ვერ მივიღეთ. უზომოდ გახარებული ვარ და მჯერა, წინ კიდევ ბევრი გამარჯვება გველის.“

„სათანადოდ ვერ გავისარჯეთ და საბოლოო ჯამში „ინტერმა“ დამსახურებულად იმარჯვა. ყველას ვთხოვე, სრული მობილიზებით ეთამაშა და კარგად მომზადებულიყო, რაც, სამწუხაროდ, არ მოხერხდა. თუმცა ჩვენ წარუმატებელი თამაშის იმას ნუ დავაბრალებთ, რომ ტოტიმ და კასანომ ვერ გაიბრწყინეს. უბრალოდ, დღეს ჩვენი საღამო არ იყო“ — აღნიშნა „რომას“ მთავარმა მწვრთნელმა ბრუნო კონტიმ.

**გიორგი ძაძაბაძე**

## მსოფლიოს 2005 წლის 20-წლამდელთა ჩემპიონატი
### ჰოლანდია. 10 ივნისი — 2 ივლისი

**A ჯგუფი. II ტური**
**იაპონია 1:1 ბენინი**
**ავსტრალია 0:3 ჰოლანდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ბენინი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| იაპონია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ავსტრალია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |

**E ჯგუფი. II ტური**
**კანადა 0:2 კოლუმბია**
**იტალია 1:2 სირია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლუმბია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| სირია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| კანადა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| იტალია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

**F ჯგუფი. II ტური**
**შვეიცარია 0:1 ბრაზილია**
**ნიგერია 1:2 სამხრეთ კორეა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| სამხრეთ კორეა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| შვეიცარია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ნიგერია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

# ნიგერია პარკით მოგუდეს
## იტალია სირიის ისტორიაში შევიდა



პაოლო ბერეტონის ნაკრები სირიასთან გვარიანად შერცხვა

AFP

**ტურნირის** მასპინძელმა ჰოლანდიამ მეორე მატჩიც ზედმეტი პრობლემების გარეშე მოიგო. „ნარინჯისფერებმა“ ჯგუფში პირველი ადგილი და, შესაბამისად, მერვედფინალის საგზური გაინაღდეს, მაგრამ მათი თავკაცი ფოპე დე ჰაანი მთლად კმაყოფილი მაინც არ არის და მოთამაშეებისგან მეტს მოითხოვს.

ჰოლანდიისა და ავსტრალიის მატჩიდან განსაკუთრებით მეორე გოლი უნდა გამოვარჩიოთ, რომელიც, სხვათა შორის, ახალგაზრდული ჩემპიონატის ისტორიაში საიუბილეო, 1 500-ე აღმოჩნდა — ევროპელთა გარემარბმა ოვუსუ აბუეიმ 46-ე წუთზე ფლანგზე რამდენიმე მეტოქე ფინტებით ჩამოიცილა და ემანუელსონს ზუსტი გადაცემა გაუკეთა, რომლის საგოლე დარტყმაც ასევე საკმაოდ ეფექტური გამოდგა.

კვლავ გაგვაოცა ბენინმა. აფრიკელებმა ამჯერადაც მშვენივრად იბურთავეს და ცოტა იღბალიც რომ წახმარებოდათ, სამ ქულასაც მოიპოვებდნენ. ფრანგ სპეციალისტ სერჟ დევეს შეგირდები იაპონიაზე უკეთ გამოიყურებოდნენ და პირველი ტაიმი მოიგეც კიდეც, თუმცა შეცვლაზე შესული მიცუპოს ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმამ აზიელებს ქულა მოუტანა.

ვთქვათ ისიც, რომ ბოლო 20 წუთი ბენინელებმა 10 კაცით ჩაამთავრეს, მაგრამ მაინც მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდნენ.

დიდი სირცხვილი ჭამა იტალიის ნაკრებმა — კოლუმბიელებთან წაგების შემდეგ აპენინელები სირიასთანაც დამარცხდნენ. მართალია, პაოლო ბერეტონის გუნდი უპირატესობას ფლობდა, მაგრამ უყურადღებოდ თამაშის გამო „ჯოვანე აძური“ სათანადოდ დაისაჯა.

„ეს სირიული ფეხბურთის ისტორიაში გამორჩეული გამორჩეული გამარჯვებაა. მეამაყება, რომ ხანგრძლივი შრომა დაგვიფასდა და ხალხი ასე გავახარეთ. დამასკოში დიდი ზეიმია“ — თქვა აზიელთა თავკაცმა მილოსავ რადენოვიჩმა.

E ჯგუფის ლიდერმა და უკვე მერვედფინალისტმა კოლუმბიამ კი იტალიის დარად, კანადას მატჩის მიწურულს გაუტანა ორი გოლი. ჩრდილოამერიკელებმა საკმაოდ კარგად ითამაშეს და 80 წუთი გაძლეს კიდეც, მაგრამ საბოლოოდ უფრო გამოცდილმა და მაღალი კლასის სამხრეთელებმა მეტოქე მაინც გატეხეს.

ბრაზილიის ნაკრებმა უფრო უკეთ, მაგრამ კვლავ არადამაჯერებლად იბურთავა. მიუხედავად ამისა, სამხრეთამერიკელებმა შეხვედრის დებიუტში გლედსტონის მიერ გატანილი გოლით სძლიეს საკმაოდ სიმპათიურ შვეიცარიელებს და ჯგუფში პირველ ადგილზე გადაინაცვლეს.

დრამატული გამოდგა ნიგერიისა და სამხრეთ კორეის მატჩი. აფრიკელები მე-18 წუთიდან მოყოლებული 89-მდე იგებდნენ, მაგრამ...

აზიელთაგან ყველაზე აქტიური ჩუ-იანგ პარკი იყო, რომელიც საბოლოოდ მატჩის გმირად იქცა. არადა, ბოლო წუთებამდე ყველაფერი პირიქით იყო — პარკმა რამდენიმე რეალური შანსი გაანიავა, ერთხელ კი სულაც პენალტი გააცუდა, თუმც მატჩის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე მშვენიერი საჯარიმო დარტყმით წონასწორობა აღადგინა და შეცდომები გამოასწორა. მსაჯის დამატებულ წუთებზე კი იმავე პარკის შორეულ დარტყმას დაამატა და გამარჯვების გოლი გაიტანა ჯი-პუნ ბაუკმა.

**გიორგი ძაძაბაძე**

სარბიელი და კროკი

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### იტალია. სერია A

**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 2 | ბოლონია-პარმა | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |

### იტალია. სერია B

**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 292 | ტრიესტინა-ვიჩენცა | 1.95 | 2.80 | 4.30 | 1.14 | 1.34 | 1.69 |

### ესპანეთი. II დივიზიონი

**17 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 5 | სიუდადი-ეხიდო | 1.95 | 2.80 | 3.90 | 1.14 | 1.29 | 1.62 |

**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 3 | ალავესი-სპორტინგი | 1.65 | 3.10 | 5.00 | 1.07 | 1.24 | 1.91 |
| 23:00 | 4 | ალმერია-მურსია | 2.25 | 2.70 | 3.20 | 1.22 | 1.32 | 1.46 |
| 20:30 | 6 | ეიბარი-ფეროლი | 1.25 | 4.80 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 3.00 |
| 20:30 | 7 | ტარაგონა-უელვა | 2.35 | 2.80 | 2.90 | 1.27 | 1.29 | 1.42 |
| 20:30 | 8 | ლეიდა-სელტა | 5.00 | 3.80 | 1.50 | 2.15 | 1.15 | 1.07 |
| 22:00 | 9 | პონტევედრა-სალამანკა | 2.25 | 2.80 | 3.00 | 1.24 | 1.28 | 1.44 |
| 20:30 | 11 | ტერასა-მალაგა ბ | 2.25 | 2.70 | 3.20 | 1.22 | 1.32 | 1.46 |
| 20:30 | 13 | ხერესი-კადისი | 5.00 | 3.80 | 1.50 | 2.15 | 1.15 | 1.07 |
| 20:30 | 10 | ტენერიფე-კორდობა | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 20:00 | 12 | ვალიადოლიდი-ელჩე | 1.75 | 3.10 | 4.20 | 1.11 | 1.23 | 1.78 |

### რუსეთი

**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 16 | კრილია-რუბინი | 1.85 | 3.10 | 4.00 | 1.15 | 1.26 | 1.74 |
| 15:00 | 17 | ლოკომოტივი-ალანია | 1.25 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.13 |
| 15:00 | 18 | შინიკი-სატურნი | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| 15:00 | 19 | ტერეკი-დინამო | 3.20 | 2.90 | 2.25 | 1.52 | 1.32 | 1.26 |
| 15:00 | 20 | ტომსკი-როსტოვი | 1.85 | 3.10 | 4.00 | 1.15 | 1.26 | 1.74 |
| 15:00 | 21 | ტორპედო-სპარტაკი | 3.10 | 3.00 | 2.20 | 1.52 | 1.28 | 1.26 |

**19 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 23 | ზენიტი-მოსკოვი | 1.75 | 3.30 | 4.45 | 1.14 | 1.25 | 1.89 |
| 15:00 | 22 | ცსკა-ამკარი | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |

### დანია. სუპერლიგა

**19 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 38 | ოდენსე-ორჰუსი | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | 1.20 | 1.81 |
| 17:00 | 35 | ბრიონდბიუ-ნორდსიელანდი | 1.30 | 4.60 | 8.00 | 1.01 | 1.11 | 2.92 |
| 17:00 | 37 | მიდტიულანდი-ოლბორგი | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| 17:00 | 39 | რანდერსი-ესბიერგი | 4.50 | 3.50 | 1.65 | 1.96 | 1.20 | 1.12 |
| 17:00 | 40 | სილკებორგი-ვიბორგი | 2.30 | 3.30 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.50 |
| 17:00 | 36 | კოპენჰაგენი-ჰერფიოლგე | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |

### ნორვეგია. ტიპელიგა

**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 50 | ვოლერენგა-ვიკინგი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |

**19 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 53 | ტრომსიო-ლინი | 2.40 | 3.30 | 2.70 | 1.38 | 1.27 | 1.48 |
| 22:15 | 56 | ბრანი-რუსენბორგი | 2.70 | 3.20 | 2.40 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 20:00 | 52 | მოლდე-ფრედრიკსტადი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 20:00 | 55 | ბოდო გლიმტ-ლილესტრომი | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| 20:00 | 54 | ალესუნდი-სტარტი | 2.95 | 3.10 | 2.30 | 1.51 | 1.29 | 1.32 |
| 20:00 | 51 | ჰამარი-ოდ გრენლანდი | 2.00 | 3.30 | 3.40 | 1.24 | 1.25 | 1.67 |

### ნორვეგია. I დივიზიონი

**19 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 63 | ტონსბერგი-სოგნდალი | 2.70 | 4.00 | 2.00 | 1.61 | 1.14 | 1.33 |
| 20:00 | 57 | ალტა-კონგსვინგერი | 2.35 | 3.90 | 2.40 | 1.46 | 1.18 | 1.48 |
| 20:00 | 58 | ბრინი-ლოვ ჰამი | 1.25 | 5.80 | 8.00 | 1.02 | 1.08 | 3.36 |
| 20:00 | 59 | ჰიონეფოსი-სანდეფიორდი | 2.55 | 3.80 | 2.20 | 1.52 | 1.18 | 1.39 |
| 20:00 | 60 | მოსი-მანდალი | 1.85 | 3.80 | 3.30 | 1.24 | 1.18 | 1.76 |
| 20:00 | 61 | პორს გრენლანდი-ფოლო | 1.50 | 3.90 | 5.50 | 1.08 | 1.17 | 2.28 |
| 20:00 | 62 | სტრიომსგოდსეტი-ჰიოდი | 1.70 | 3.70 | 3.60 | 1.16 | 1.15 | 1.82 |

**20 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 64 | სტაბეკი-სკეიდი | 1.30 | 5.00 | 7.50 | 1.03 | 1.10 | 3.00 |

### შვედეთი. სუპერეტა

**17 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 84 | დეგერფორსი-ატვიდაბერგი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |

**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 86 | ლიუნგსკილე-ფრიოლუნდა | 1.70 | 3.50 | 4.20 | 1.14 | 1.21 | 1.90 |
| 18:00 | 85 | ბრომაპოიკარნა-მიალბი | 1.50 | 3.60 | 5.30 | 1.05 | 1.16 | 2.14 |

**19 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 87 | ვესბი-ბოდენსი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 19:00 | 90 | იოსტერსი-ფალკენბერგი | 1.80 | 3.40 | 3.50 | 1.17 | 1.18 | 1.72 |
| 19:00 | 88 | აიკ-ვესტეროსი | 1.45 | 3.90 | 5.70 | 1.05 | 1.15 | 2.31 |
| 19:00 | 89 | ტრელებორგი-გაის | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |

### ირლანდია

**17 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 112 | შელბურნი-შემროკი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 22:45 | 110 | ბრეი-კორკი | 3.80 | 3.20 | 1.80 | 1.73 | 1.22 | 1.15 |
| 22:45 | 111 | დროგედა-დუბლინი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |

**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 114 | პერპსი-უოტერფორდი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 22:30 | 113 | ლონგფორდი-დერი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |

### აშშ

**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 122 | ვაშინგტონი-ნიუ ინგლენდი | 2.75 | 3.10 | 2.30 | 1.45 | 1.25 | 1.32 |
| 23:45 | 124 | ჩივასი-კოლორადო | 2.40 | 3.00 | 2.60 | 1.33 | 1.24 | 1.39 |
| 23:45 | 120 | ჩიკაგო-კანზასი | 2.00 | 3.00 | 3.30 | 1.20 | 1.24 | 1.57 |
| 23:45 | 125 | სან ხოსე-სოლტ ლეიკი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 23:45 | 121 | ნიუ იორკი-კოლამბუსი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 23:45 | 123 | დალასი-ლოს ანჯელესი | 1.95 | 3.10 | 3.40 | 1.19 | 1.23 | 1.62 |

### არგენტინა

**17 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 126 | ალმაგრო-სან ლორენსო | 2.60 | 3.20 | 2.30 | 1.43 | 1.22 | 1.33 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 130 | ესტუდიანტესი-ინდეპენდიენტე | 1.60 | 3.40 | 4.70 | 1.08 | 1.19 | 1.97 |
| 23:45 | 128 | არსენალი-ხიმნასია | 1.55 | 3.60 | 4.80 | 1.08 | 1.17 | 2.05 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 134 | რასინგი-ლანუსი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 22:30 | 127 | არგენტინოს ხუნიორსი-ურაკანი | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 21:00 | 132 | ნიუელსი-ბოკა ხუნიორსი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 22:30 | 133 | კილმესი-ოლიმპო | 2.10 | 3.10 | 3.00 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 22:30 | 131 | ინსტიტუტო-როსარიო | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 23:00 | 142 | პალმეირასი-ვასკუ და გამა | 1.60 | 3.40 | 4.70 | 1.08 | 1.19 | 1.97 |
| 23:45 | 138 | პონტე პრეტა-გოიასი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 23:45 | 136 | ატლეტიკო მნ-ხან კაეტანო | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 23:00 | 144 | ბრაზილენსე-კორინთიანსი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 23:00 | 137 | ფიგეირენსე-პაისანდუ | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 139 | სან პაულუ-ბოტაფოგო | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 23:45 | 141 | კურიტიბა-პარანა | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 23:45 | 145 | ფორტალესა-სანტოსი | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| 23:45 | 146 | უუვენტუდი-კრუზეირო | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| | | **ურუგვაი** | | | | | | |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 22:30 | 154 | რივერ პლეიტი-რამპლა | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 22:30 | 149 | კოლონია-როხა | 3.70 | 3.30 | 1.80 | 1.74 | 1.21 | 1.16 |
| 23:00 | 148 | სერო-პენიაროლი | 8.00 | 4.50 | 1.30 | 2.88 | 1.11 | 1.00 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 22:30 | 153 | პაისანდუ-დანუბიო | 5.00 | 3.60 | 1.55 | 2.09 | 1.18 | 1.08 |
| 17:10 | 156 | უონდერერსი-პლასა | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 22:30 | 155 | ტაკუარემბო-ლივერპული | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 22:30 | 151 | მირამარი-დეფენსორი | 4.00 | 3.30 | 1.75 | 1.80 | 1.21 | 1.14 |
| 23:00 | 152 | ნასიონალი-სერიტო | 1.25 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.14 |
| | | **ჩილე** | | | | | | |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 23:00 | 158 | კოლო კოლო-უაჩიპატო | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 23:45 | 159 | კობრელოა-კოკიმბო | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 161 | უნ.კატოლიკა-კონსეპსიონი | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 23:30 | 160 | უნ.ჩილე-უნ.ესპანიოლა | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| | | **მჩ. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 22:00 | 170 | ბურკინა ფასო-დრ კონგო | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 17:30 | 166 | უგანდა-კაპე ვერდე | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 17:00 | 163 | მალავი-ბოტსვანა | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 18:30 | 167 | გაბონი-რუანდა | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 17:00 | 162 | კენია-მაროკო | 4.00 | 3.30 | 1.80 | 1.80 | 1.24 | 1.16 |
| 21:00 | 169 | სენეგალი-ტოგო | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 17:30 | 165 | სამხრეთ აფრიკა-განა | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 17:00 | 164 | ზამბია-მალი | 1.65 | 3.40 | 4.75 | 1.11 | 1.22 | 1.98 |
| 19:00 | 168 | ნიგერია-ანგოლა | 1.35 | 4.00 | 7.50 | 1.00 | 1.14 | 2.60 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 172 | ლიბერია-კონგო | 2.15 | 3.00 | 3.20 | 1.25 | 1.28 | 1.54 |
| 18:30 | 171 | კამერუნი-ლიბია | 1.30 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.94 |
| 20:00 | 173 | კოტ დიუარი-ეგვიპტე | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 23:30 | 174 | ალჟირი-ზიმბაბვე | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| | | **ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი.(20).** | | | | | | |
| | | **17 ივნისი** | | | | | | |
| 22:30 | 197 | ჩინეთი(20)-პანამა(20) | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 195 | მაროკო(20)-ჩილე(20) | 2.35 | 3.00 | 2.75 | 1.31 | 1.26 | 1.43 |
| 22:30 | 198 | თურქეთი(20)-უკრაინა(20) | 2.70 | 2.90 | 2.45 | 1.39 | 1.28 | 1.32 |
| 19:30 | 196 | ესპანეთი(20)-ჰონდურასი(20) | 1.05 | 8.00 | 16.00 | 1.00 | 1.00 | 3.33 |

### ჩოგბურთი. კაცები. როზმალენი. ბალახი.

**17 ივნისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14:00 | 330 | ჰერნიხი-კოლშრაიბერი | 1.65 | 2.10 |
| 14:00 | 331 | ლოდრა-ბურგსმიულერი | 1.45 | 2.50 |

### კალათბურთი. ესპანეთი

**17 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 321 | ტაუ-რეალი | 1.45 | 12.00 | 2.50 | 1.29 | 1.00 | 2.06 |

### ფორმულა 1 (აშშ)

**17 ივნისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტოია | 7.50 |
| 20:00 | 1001 | გამარჯვებული | ალბერსი | 150.00 |
| 20:00 | 1001 | გამარჯვებული | ალონსო | 3.80 |
| 20:00 | 1001 | გამარჯვებული | რაიკონენი | 2.20 |
| 20:00 | 1001 | გამარჯვებული | კლიენი | 120.00 |
| 20:00 | 1001 | გამარჯვებული | მასა | 80.00 |
| 20:00 | 1001 | გამარჯვებული | ფიზიკელა | 14.00 |
| 20:00 | 1001 | გამარჯვებული | სატო | 40.00 |
| 20:00 | 1001 | გამარჯვებული | ბატონი | 18.00 |
| 20:00 | 1001 | გამარჯვებული | რ.შუმახერი | 35.00 |
| 20:00 | 1001 | გამარჯვებული | ვებერი | 30.00 |
| 20:00 | 1001 | გამარჯვებული | ტრული | 25.00 |
| 20:00 | 1001 | გამარჯვებული | მ.შუმახერი | 4.00 |
| 20:00 | 1001 | გამარჯვებული | ბარიკელო | 12.00 |
| 20:00 | 1001 | გამარჯვებული | კულტჰარდი | 55.00 |

### ფრენბურთი.კაცები. ევროლიგა.

**18 ივნისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20:00 | 348 | თურქეთი-სლოვაკეთი | 1.35 | 2.74 |
| 18:00 | 347 | რუსეთი-გერმანია | 1.15 | 4.00 |
| 17:00 | 346 | ფინეთი-ესტონეთი | 1.30 | 2.90 |
| 15:00 | 345 | ესპანეთი-ჩეხეთი | 1.55 | 2.05 |

### იტალია. სერია C1. პლეი ოფი

**19 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 224 | აველინო-ნაპოლი | 2.80 | 2.50 | 2.70 | 1.32 | 1.37 | 1.29 |
| 18:00 | 223 | მანტოვა-პავია | 2.00 | 2.60 | 4.30 | 1.13 | 1.36 | 1.62 |

CROCO BOOKMAKERS
ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით
CROCO BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24




დავით უსტიაშვილი და ნუგზარ კანდელაკი

# უკრაინა საბულგარეთოდ გვეხმარება

## ნუგზარ კანდელაკმა 14 ახალგაზრდა შეარჩია

**დღეს** გამთენიისას საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები კიევში გაფრინდა. ნუგზარ კანდელაკის გუნდი ევროსაკვალიფიკაციო ტურნირისთვის ემზადება, რომელიც ივლისის შუა რიცხვებში ბულგარეთში უნდა ჩატარდეს და უკრაინის დედაქალაქში გამართული სპარინგ-მატჩები მას ძალიან დიდ გამოცდილებას შესძენს.

ჩვენები კიევში უკრაინელ თანატოლებს ორჯერ შეხვდებიან და არც ისაა გამორიცხული, დამატებით კიდევ ერთი მატჩი ითამაშონ ასევე სამზადისში მყოფ ბელარუსის ნაკრებთან. ნუგზარ კანდელაკს 20-დან უნდა შეერჩია კიევში წასაყვანი 14 კალათბურთელი, რაც, როგორც თავად ამბობს, საკმაოდ ძნელი საქმე იყო. კონკურენცია დღეს საკმარისად იგრძნობა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში და ეს, რა თქმა უნდა, ბრძოლისუნარიანი შემადგენლობის შეკრების ერთ-ერთი წინაპირობაა. ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელობა გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში" შეიკრიბა და გუნდის გეგმებსა და მზადყოფნაზე ილაპარაკა.

— არჩევანი 20 კალათბურთელიდან უნდა გაგვეკეთებინა და ვფიქრობ, ოპტიმალურ შემადგენლობას მოვუყარეთ თავი — გვითხრა ნაკრების თავკაცმა ნუგზარ კანდელაკმა — ძალიან კარგია, კონკურენცია რომ არსებობს. უამისოდ გაცილებით სუსტი იქნებოდა ჩვენი გუნდი. ტრავმის გამო თოთხმეტეულში ვერ მოხვდნენ რევაზ დიდია და გიორგი ჩავლეიშვილი. მათ თავიანთ კლუბებში თამაშისას მიღებული ტრავმები გაუმიზეზდათ. ისე, ჩავლეიშვილის ბოლომდე საქმეში ნახვა ვერ მოვახერხე, იგი პირველივე ვარჯიშზე დაშავდა და... მხოლოდ კასეტებიდან ძნელია, მოთამაშის ავკარგიანობა გაარჩიო...“

... ისინი, ვინც შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ, მე საოვალავიდან არ ამომიშლია. ჩვენ მათ დავშორდით იმედიანი სიტყვებით, რომ ყველაფერი წინაა და სანამ ბულგარეთში წავალთ, კიდევ მიეცემათ თავიანთი ძალის დამტკიცების შანსი. საბულგარეთო შემადგენლობაშიც რომ ვერ მოხვდნენ, მათ მაინც ექნებათ ნაკრებში დამკვიდრების შესაძლებლობა, თუ რა თქმა უნდა, ჩვენი გუნდი მოახერხებს A დივიზიონში გადასვლას. მოგეხსენებათ, ბულგარეთში 1985-წლიანების ტურნირია და გაისად ამ ასაკის მოთამაშეებს აღარ ექნებათ A დივიზიონში თამაშის უფლება. ასე რომ, 86-იანებს ყველაფერი წინ აქვთ.

**— კიევში წასვლამდე, ლიტვის ახალგაზრდულ ნაკრებთან შეხვედრას გეგმავდით...**

— რიმას კურტინაიტისს მართლაც უნდოდა ჩვენთან თამაში, მაგრამ როცა მის გუნდს, „გალას", აზერბაიჯანის ჩემპიონატში მოვუგე, რატომღაც დაავიწყდა ყველაფერი. არადა, სანამ დამარცხდებოდა, ამბობდა, თქვენ ოღონდ ლიტვაში ჩამოდით და ყველა ხარჯს ჩვენ გავწევთო. წაგების შემდეგ ყველაფერი დაავიწყდა.

**— უკრაინაში ვის ეთამაშებით და რა შედეგს ელით?**

— შედეგს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი ამოცანა გუნდის შეთამაშებაა. მინიმუმ ორ მატჩს ვითამაშებთ და ორივეს უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებთან. არაა გამორიცხული, რომ ბელარუს თანატოლებსაც შევხვდებით, რომლებიც ასევე კიევში ჩადიან საწვრთნელ შეკრებაზე. ეგებ ოთხთა ტურნირიც მოეწყოს, რომელშიც ჩვენთან ერთად ბელარუსის და უკრაინის ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრებები გამოვლენ.

**— უკრაინიდან მობრუნებულები თბილისში თუ გაეჯიბრებით რომელიმე ნაკრებს?**

— ისრაელის ნაკრებთან მიმდინარეობდა მოლაპარაკება, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა, თუმც ახლა კიდევ ორ ქვეყანასთან მიდის საუბრები და ერთ-ერთის ნაკრები ალბათ აუცილებლად ჩამოვა თბილისში.

პრესკონფერენციაზე იმყოფებოდნენ კანდელაკის ასისტენტები — მიხეილ კობეშავიძე და დავით უსტიაშვილი, რომლებმაც ასევე გამოთქვეს თავიანთი აზრი:

*დავით უსტიაშვილი:* „ეს ნაკრები საკმაოდ დაბალანსებულია, ვიდრე ჭაბუკებისა იყო. შარშან მე ჭაბუკთა მწვრთნელი ვიყავი და ცენტრალური თადამსხმელი ფაქტობრივად არ გვყოლია ახლა კი არაერთი ტანმაღალი გვყავს — მხოლოდ სერგო ათუაშვილის გამორჩევაც საკმარისია, რომლის სიმაღლეც 223 სანტიმეტრია. საუკრაინო შემადგენლობის მიღმა დარჩა რამდენიმე მოთამაშე, რომლებსაც შანსი არ გადაწურიათ. მათ ძირითადში მოხვედრა კიდევ შეუძლიათ.

*მიხეილ კობეშავიძე:* „ლეგიონერებს საკმაოდ მომატებული აქვთ. თითქმის ყველა ოპტიმალურ ფორმაშია, მაგრამ მხოლოდ მზადყოფნა არაა საკმარისი, თუ მონდომებაც არ ახლავს. ამჯერად სამი ტრავმირებული გვყავს — ჩავლეიშვილი, დიდია და ბოლქვაძე, რომლებიც მწყობრში მალე ჩადგებიან და საბულგარეთო შემადგენლობის შესარჩევად კონკურენცია უფრო გამძაფრდება".

**ირაკლი პერტაია**

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების საუკრაინო განაცხადი:**

სერგო ათუაშვილი
დავით იმნაძე
დავით ერქვანია
გიორგი მდივანი
ნიკა ჩხატარაშვილი
ვიქტორ სანიკიძე
დავით საყვარელიძე
ლაშა ფარღალავა
ტატო ვაშაკიძე
გიორგი მამაცაშვილი
ლაშა გამყრელიძე
გიორგი ცინცაძე
ბესიკ ლეჟავა
მიხეილ ბერიშვილი



# არც ლიდერია, არც აუტსაიდერი

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა განაცხადა, რომ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ჩატარების მსურველთა შორის არც ლიდერია და არც აუტსაიდერიო.

6 ივლისს სინგაპურში გასამართ სოკ-ის სესიაზე, სადაც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი უნდა დასახელდეს, მეტად ძნელი იქნება მასპინძლობის ხუთი მოსურნე ქალაქიდან ერთის შერჩევა.

„პარიზი, ლონდონი, მოსკოვი, მადრიდი და ნიუ იორკი ბრწყინვალედ არიან მომზადებულნი — ამბობს ჟაკ როგი — თითოეულ მათგანს შეუძლია ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა. ვფიქრობ, ყველაფერს ხუთი-ექვსი ხმა გადაწყვეტს. დარწმუნებული ვარ, რომ ისეთ აშკარა გამარჯვებას, როგორიც 2008 წლის საოლიმპიადო პეკინს ჰქონდა, ვერავინ მიაღწევს".

ჟაკ როგმა განმარტა: „ჩვენი შემფასებელი კომისიის დასკვნებს რომ გავეცანი, მასში ქალაქებს შორის მზადყოფნის თაობაზე დიდი სხვაობა ვერ ვნახე. ეტყობა, კენჭისყრის მერე ვერცერთი პრეტენდენტი ხმათა მნიშვნელოვანი სხვაობით ვერ გაიმარჯვებს. ახლა ვერ გეტყვით, თუ ვინ იქნებიან ფინალისტები, მაგრამ სრულიად ნათელია, რომ ორივე ქალაქი დაახლოებით ერთ მაღალ დონეზე იქნება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ღალატი და გამოსავალი



**„ჩვენ** ამერიკას ვუღალატეთ" — ასეთი კომენტარი გააკეთა ნიუ იორკის მერმა მაიკლ ბლუმბერგმა მას მერე, რაც ნიუ იორკის შტატის საკონტროლო კომისიამ დაბლოკა მანჰეტენზე ოლიმპიური სტადიონის მშენებლობა.

— ამერიკის ოლიმპიურმა კომიტეტმა ქვეყნის წარსადგენად შეგვარჩია მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებსაც სურდათ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა — განმარტა ბლუმბერგმა.

ბლუმბერგის თქმით, ფინანსური პრობლემების მოგვარება განსჯის საგანი გახდება ქალაქისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელთა მომავალ კონსულტაციებზე. თავის მხრივ ამერიკის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელმა დერილ საიბერმა განაცხადა, რომ შეისწავლიან შესაძლო მომავალ ნაბიჯებს.

მართალია, „ნიუ იორკ-2012"-ის საგანაცხადო კომიტეტს უფლება აქვს თხოვნით მიმართოს თავისი კანდიდატურის მოხსნის თაობაზე, მაგრამ ამგვარი ოფიციალური გადაწყვეტილება ამერიკის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა უნდა მიიღოს.

მოვლენათა ასეთი განვითარება, ექსპერტთა თქმით, ნაკლებ სავარაუდო იყო. იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის ოლიმპიური კომიტეტი ნიუ იორკის განაცხადს უკან გამოიტანდა ახლა, როცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 6 ივლისის სესიამდე, სადაც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი უნდა შეარჩიონ, დიდად ავნებდა ამერიკას. ექსპერტთა ვარაუდით, ასეთ შემთხვევაში ამერიკა მრავალი წლით გამოეთხოვებოდა სხვა საერთაშორისო შეჯიბრებათა მასპინძლობის პატივს.

ასეთი პერსპექტივისგან თავის დასაღწევად და 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ შანსის შესანარჩუნებლად, ნიუიორკელები მიდგნენ-მოდგნენ და გამოსავალიც უმალ გამონახეს: მათ გადაწყვიტეს, ოლიმპიური თამაშების მთავარ სტადიონად გამოიყენონ ნიუ იორკში ქუინსის რაიონში მშენებარე ბეისბოლისტთა კლუბის NEW YORK METS-ის არენა. ამ სტადიონის მფლობელები თანახმანი არიან ქალაქს დაუთმონ ოლიმპიური თამაშებისთვის — თქვა მაიკლ ბლუმბერგმა. ამ სტადიონის მშენებლობისთვის თავდაპირველად განზრახული იყო 600 მილიონის დახარჯვა, რომელიც ახლა სავარაუდოდ გაიზრდება და მშენებლობა 2009 წელს დასრულდება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

## ჭიდაობა



# ორმაგი უქმეები
## თავისუფლები და კლასიკოსები
## სპორტის სასახლეს იყოფენ

**ხვალ** სპორტის სასახლეში ორი საჭიდაო ხალიჩა გაიშლება და ვახტანგ ბალავაძისა და გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი გაჩაღდება.

აქამდე ეს ორი ტრადიციული შეჯიბრი ცალ-ცალკე ტარდებოდა, მაგრამ ჭიდაობის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ამიერიდან ერთ შაბათ-კვირაში ჩაეტევა. ზუსტი თარიღის დადგენა პრობლემაა გამო ბოლო პერიოდამდე ვერაფრით მოხერხდა, მონაწილე ქვეყნების გაფრთხილებაც დაგვიანდა და ამის გამოა, რომ სტუმართა ზუსტი რაოდენობა გუშინ გაურკვეველი იყო.

„ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ „კარტოზია-ბალავაძეზე“ რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ნაკრებები იჭიდავებენ — გვითხრა გუშინ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა — თუმც ამათ ეგებ რამდენიმე ქვეყნის დელაგაციაც დაემატოს. საბოლოო პასუხებს პარასკევს ველოდებით“.

„უმაღლესი დონის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ამ ეტაპზე მთავარი ჩვენთვის შიდა კონკურენციის გადახედვაა“ — ეს უკვე თავისუფალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ზაზა თურმანიძის სიტყვებია. ევროპის ჩემპიონატმოვლილი ნაკრებები სასექტემბრო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის თავიდან კომპლექტდება და კანდიდატებმაც მთავარი გამოცდა სწორედ ამ უქმეებზე უნდა ჩააბარონ. მსოფლიოზე წამსვლელი გუნდები ძირითადად „კარტოზია-ბალავაძის“ შედეგებით დაკომპლექტება.

შაბათს, დილის 10 საათიდან ხალიჩაზე 55, 66, 84 და +120 კილოგრამიანი ბერძენ-რომაელები და თავისუფლები გავლენ და საღამოს 5 საათამდე ფინალისტებს გამოარკვევენ. კვირას 60, 74, 96 კგ წონებში მოჭიდავეები ასევე 10-დან დაიწყებენ, ხოლო ფინალები 4 საათზე გახურდება.

გულშემატკივრებს დარბაზში შესვლა უფასოდ შეეძლებათ. ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ბილეთები არ გაიყიდება, რამაც წესით მაყურებელთა რაოდენობა უნდა გაზარდოს. მითუმეტეს, რომ ტელერეპორტაჟიც არ იქნება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## სროლა

# სალუქვაძის ასიანი ოქროს ვერ მისწვდა



**მილანში** მსოფლიოს თასის მეოთხე ეტაპი მიმდინარეობს.

პლანეტის საუკეთესო მსროლელები მიუნხენიდან პირდაპირ იტალიაში ჩავიდნენ და ახლა იქ ცდილობენ ჯილდოების მოგებას.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს თასზე პირველ ადგილზე გასულებს ოქროს მედალთან ერთად პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიაც ერგებათ.

ქალთა შორის პნევმატური იარაღიდან 10 მეტრიან დისტანციაზე სროლაში ნინო სალუქვაძემ მეოთხე ადგილი დაიკავა. საკვალიფიკაციო ეტაპზე სალუქვაძე წარმატებით გამოვიდა, 284 ქულა დააგროვა და სამ მსროლელთან ერთად მესამე-მეექვსე ადგილზე გავიდა. ფინალურ ეტაპზე ნინომ მეტოქეებზე საუკეთესოდ ისასპარეზა და 100,2 ქულა მიითვალა, თუმც ეს მხოლოდ მეოთხე ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი.

შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ მსგავს შეჯიბრში მიუნხენში ქართველმა მსროლელმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და მხოლოდ ქულა დააკლდა პირველი ადგილისთვის, ტურნირის გამარჯვებული კი ახალგაზრდა კორეელი სნაიპერი ჰო ლიმ ლი გახდა 387 ქულით და ოქროს მედალთან ერთად პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიაც მიიღო.

სალუქვაძის გარდა 10 მეტრზე კიდევ ორმა ქართველმა ისროლა —თამილა ასათიანმა და ნინო უჩაძემ, თუმც არც ისე ზუსტად და ორივე ფინალს მიღმა დარჩა. უჩაძე 87 მსროლელში 377 ქულით 34-ე ადგილას დასჯერდა, ასათიანი კი 364 ქულით 73-ე იყო.

**ლუზა გეგეჭკორი**

## ფრენბურთი

# ფრანგული პასუხი და პასუხის პასუხი
## ლევან ახვლედიანი: სიმართლეს აუცილებლად გავიტანთ

**საქართველოს** ფრენბურთელთა ნაკრებისა და საფრანგეთის საკონსულოს შორის აგორებულ სკანდალს გუშინ საფრანგეთის საელჩო გამოეხმაურა.

„საქართველოს ნაკრების ათი წევრიდან ხუთს საბუთებში დარღვევა აღმოაჩნდა, თუმც მათზე კონკრეტულად საუბრისგან თავს შევიკავებ — თქვა გუშინ სპეციალურ პრესკონფერენციაზე საფრანგეთის ელჩმა ფილიპ ლეფორმა — ხელისუფლების ჩარევის შემდეგ კი ვიზა რვას მაინც გავუკეთეთ. ფრენბურთის ფედერაციაში შვედეთიდან მიწვევა აპრილის ბოლოს მიიღეს და საინტერესოა, ჩვენ ივნისამდე რატომ არ მოგვმართეს“.

კომენტარი ფედერაციის პრეზიდენტ ლევან ახვლედიანსაც ვთხოვეთ:

„ელჩმა დ[illegible] დებების გაკეთებ[illegible] რამე იცრუა განაცხა[illegible] ილს წარუდგენ[illegible] ციალურად გაუწ[illegible] დეთში წამსვლელ[illegible] შვო არავინ გვეუღ[illegible] ნებმა მანამდე არავითა[illegible] ლი ქვეყანა მთავრ[illegible] დარჩენა უნდოდათ, რადგან[illegible] ახერხებდნენ. ახლა [illegible] რჩენია, ევროპის კონფ[illegible] ის სასჯელს დავე[illegible] დისკვალიფიკაციას გა[illegible] და მარტო ფინანსურ[illegible] გვაკმარეს, მას ანაზღა[illegible] ფრანგეთის საკონს[illegible] ვთხოვთ. სიმართლე [illegible] რესაა და მას აუცილებლად გავიტანთ“

**ოთარ მაღლაკელიძე**

## კრივი

# ჯეკ დემპსის ხელთათმანი

**გასული** საუკუნის 20-იანი წლების მსოფლიოს ჩემპიონი ზემძიმე წონაში, მოკრივე ჯეკ დემპსის ხელთათმანები აუქციონზე 30 ათას დოლარად გაიყიდა. მყიდველმა ანონიმად დარჩენა ისურვა. მასზე მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ სიეტლში ცხოვრობს და ექიმია.

ჯეკ დემპსი ამ ხელთათმანებით 1923 წელს იბრძოდა ტომი გიბონს წინააღმდეგ და წარმატებითაც დაიცვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

ეს ბრძოლა ისტორიაში უფრო ამ გამარჯვების წყალობით კი არა, კურიოზის გამო მოხვდა. დემპსის[illegible] ხა და გიბონსის შ[illegible] ტარა ქალაქ შ[illegible] რადაც 2500 [illegible] შენეს უშედეგ[illegible] გილიანი ხ[illegible] ქალაქი ს[illegible] ტამდე გამოაცხ[illegible] ამ ბრძოლის [illegible] ბანკის და [illegible] ხელთათმანება, [illegible] ერთის შვ[illegible] წერა გაუ[illegible] 2000 წელს [illegible] ქციონზე გამო[illegible] ახლადელი ანონიმის [illegible] დმა მფლობელმა რ[illegible] იყიდა.



ჯეკ დემპსი




ასაფა პაუელი

# გაუმარჯოს პაუელსა!

## 100 მეტრის შემცირების ამბავი

**ათენის** სუპერ გრან პრი „ციკლიტირია 2005" გახლავთ ის შეჯიბრება, რომელშიც იამაიკელმა სპრინტერმა ასაფა პაუელმა 100 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 9,77 წმ.

საინტერესოა, რომ პაუელის რეკორდის რეკორდად გამოცხადებას რამდენიმე წუთი მაინც დასჭირდა. საქმე ის გახლავთ, რომ თავდაპირველად მისი შედეგი მაიჩნიეს წინა, ტიმ მონტგომერის რეკორდის (7,78 წმ პარიზი, 15.09.2002) გამეორებად, მაგრამ გავიდა გავიდა მცირე დრო და კომისიამ 0,01 წამი დააკლო. რეკორდის დამყარებისას ქარის სისწრაფე იყო 1,6 მეტრი წამში.

„ვიცოდი, რომ რეკორდის დამყარება შემეძლო. გარბენში მთელი გული ჩავდე და, უნდა გითხრათ, რომ მსოფლიოს უსწრაფეს ადამიანად საუცხოოდ ვგრძნობ თავს." — განაცხადა რეკორდსმენმა.

შემდეგ მას ჰკითხეს, რამდენად შეუძლია წლეულს მიღწეულის გაუმჯობესება.

„რა ვიცი... ალბათ ცხრა წამამდე. ისე, ძალიან მიყვარს ათენი და აქ გაისადაც აუცილებლად ჩამოვალ." — ასეთი იყო პასუხი.

ასე და ამგვარად, პაუელი IAAF-ის საყოველთაო რეიტინგში პირველ ადგილზეა.

„ბედნიერი ვარ, — განაგრძობს იამაიკელი, — საბერძნეთში მეორედ გამოვდივარ და აი, როგორ შედეგს მივაღწიე. მშვენიერია, რომ მაურისიო გრინის შემდეგ მეც ამ სტადიონზე მივაღწიე წარმატებას. ხომ გეუბნებით, ვიცოდი, რომ მსოფლიოს რეკორდის დამყარება შემეძლო. ახლა დაველოდოთ, წლის ბოლომდე ვნახოთ. ზემოთ ხომ გითხარით, იქნებ რეკორდი გავაუმჯობესო „მეთქი."

ჩვენ კი რეიტინგს ჩავხედოთ. იქ წერია, რომ ასაფა პაუელი უსწრებს მძლეოსნობის ისეთ დიდ ვარსკვლავებს, როგორებიც არიან ეთიოპიელი კენენისა ბეკელე და ყატარელი საიფ საამედ შაჰენი. მეორე მხრივ იქ არ წერია, მაგრამ საყოველთაოდ გახდა ცნობილი, რომ ასაფა პაუელი შეიქნა პირველი იამაიკელი, რომელმაც საყოველთაო რეიტინგში დაიკავა პირველი ადგილი.

ბეკელემ და შაჰენმა პოზიციები პაუელის წარმატების გარდა იმის გამოც დათმეს, რომ თავიანთ შარშანდელ შედეგებს ჯერჯერობით ვერაფერი შმატეს.

**ტუტა სიხარულიძე**



# საუიმბლდონო რეიტინგარითმეტიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ენდი როდიკი

**უიმბლდონის** ორგანიზატორებმა თავისებურად განთესილ მეჩოგეთა სიები გამოაქვეყნეს. თავისებურად-ჩვენთვის რომ ვამბობთ, ამით შემდეგი რამ იგულისხმება: უიმბლდონი ერთადერთია დიდი მუზარადის ტურნირებიდან, სადაც მეჩოგეთა განთესვისას ამოსავალი 12-თვიანი მცოცავი რეიტინგია არ გახლავსთ. „ოლ ინგლანდ კლაბი" მეჩოგეთა განსათესად შემდეგ ფორმულას გამოიყენებს: ამა წლის 13 ივნისისთვის 12-თვიან მცოცავ რეიტინგსიაში ამა თუ იმ მეჩოგის ქულად მარაგს ემატება მის მიერ წინა 12 თვის განმავლობაში ყველა საბალახსაფრო ტურნირზე ნაშოვნი ქულების 100 პროცენტი, პლუს ამ მეჩოგისთვის წინის წინა 12-თვიან პერიოდში ყველაზე წარმატებულ საბალახსაფრო ტურნირზე მონაგრულ ქულათა 75 პროცენტი. შედეგად — ვინაიდან ამქართა ელიტებში მრავალ მეჩოგნეს საბალახსაფრო ტურნირებზე შეიძლება ცოტა ან სულაც არაფერი მოემკას, საუიმბლდონოდ განთესილთა ჩამონათვალი ხშირად ძალიან განსხვავდება ხოლმე 12-თვიანი მცოცავი რეიტინგსიების ნუსხებისგან.

ასე მოხდა ამჯერადაც. ენდი როდიკი, რომელიც რეიტინგსიაში 3590 ქულით მეოთხეა და პირველოსან როჯერ ფედერერის გარდა ლეიტონ ჰიუიტსა (3640) და რაფაელ ნადალსაც (3600) ჩამორჩება, საუიმბლდონო გათულებით მეორე ნომრად განითესა.

შეგახსენებთ, რომ იგი ტურნირის შარშანდელი ფინალისტი და შარშანწინდელი ნახევარფინალისტია (სხვათა შორის, მას ორივეჯერ ფედერერმა სძლია) და წლეულს ზედიზედ მესამედ იმარჯვა უიმბლდონისწინა ქუინზკლაბობაზე. როდიკის გარდა იხეირეს ტურნირის ოთხგზის ნახევარფინალისტმა ტიმ ჰენმანმა, ვინაც მსოფლიო რეიტინგსიის მეცხრეზე უიმბლდონის მეექვსე საფეხურზე ასკუპდა, ასევე შარშანდელმა ნახევარფინალისტებმა — ფრანგმა სებასტიან გროჟანმა (26-დან მეცხრეზე) და ხორვატმა მარიო ანჩიჩმა (21-დან მეათეზე).

ამგვარი უიმბლდონური არითმეტიკა ერთობ არ მოსწონს უიმბლდონის 1987 წლის ავსტრალიელ ჩემპიონ პატ კეშს. ის თვლის, რომ ჰიუიტს, ვისაც ლონდონური სეფეკონდარი საჩემპიონოდ 2002 წელს გაუჯაგავს, უნამუსოდ მოექცნენ.

„ლეიტონი მსოფლიოს ნომერ მეორე მეჩოგნეა და ის ტურნირზე ასევე მეორე ნომრად უნდა იყოს განთესილი — თქვა მან — ის უიმბლდონის ჩემპიონია, წლეულს ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში ითამაშა... ძალიან არ მომწონს, როცა უიმბლდონზე განთესილთა სიას ასე ასხვაფერებენ. ბიჭები მთელი სეზონი მუშაობენ, რათა დიდი მუზარადის ტურნირებზე შეღავათიანი ალაგები დაიჭირონ, აქ კი უცებ ეგეთ რამეს ეუბნებიან, იცით რა, მართალია, თქვენ უიმბლდონის ჩემპიონი ხართ, სამგზის მოგიგიათ ქუინზკლაბობა, წლეულს ავსტრალიის ღია პირველობის ფინალშიც იყავით, მაგრამ აქ თქვენ წინ მაინც ენდი როდიკი უნდა დავაყენოთ.

არ მინდა, როდიკს გავუტრიზავო ის ამბავი, რომ წინა კვირაში მანაც ზედიზედ მესამედ მოიგო ქუინზკლაბური ტურნირი, მაგრამ ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ ჰიუიტს როდიკთან პირად ქიშპში დიდი უპირატესობა აქვს. ვფიქრობ, რომ როდიკი — განსხვავებით ჰიუიტისგან — დაუმსახურებლად ისარგებლებს იმით, რომ ფინალამდე ფედერერთან შეხვლის პერსპექტივა არ დაემუქრება."

თუმცა, აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ის, თუ ვინ იქნება ბადის ფედერერისეულ მხარეზე — ჰიუიტი თუ ნადალი — გუშლამ მონეტის გდებით ანუ პირითა და სიქით უნდა გარკვეულიყო.

რაც შეეხება მდედრიონს, იქ რამე მოულოდნელობა არ მომხდარა — მხოლოდ ეგ არის, შარშანდელ ჩემპიონ მაშა შარაპოვას ტურნირზე მსოფლიო რეიტინგსიის შესაფერი რანგით მეორე ჩოგანი ეპყრება, ამქრის პირველოსანი ლინდსი დევენპორტი კი უიმბლდონზეც იპირველოსნებს. მათ შემდეგ ამელი მორეზმო და ტურნირის ორგზის (2002-03) ჩემპიონი და შარშანდელი ფინალისტი სერენა უილიამსი იდგებიან, ზეცამეტეულში კი ერთბაშად შვიდი რუსი ქალი იქნება.

**ლევან ძელაურაძე**



ლეიტონ ჰიუიტი

## ევროპის ქალთა ჩემპიონატი

კიშინიოვი. მოლდოვა. 10-25 ივნისი

V ტური

| | | |
|---|---|---|
| ლილიტ მკრტჩიანი (სომხეთი) | 0,5:0,5 | ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) |
| ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა) | 1:5 | მაია ლომინეიშვილი (საქართველო) |
| სილვია ვაჟდა (უნგრეთი) | 0:1 | ნანა ძაგნიძე (საქართველო) |
| დაგნე სიუკსიტე (ლიტვა) | 0:1 | ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო) |
| ტატიანა სტეპოვაია (რუსეთი) | 0,5:0,5 | ნინო ხურციძე (საქართველო) |
| მარი სებაგი (საფრანგეთი) | 0,5:0,5 | თამარ წერეთელი (საქართველო) |
| პეტრა შუურმანი (ჰოლანდია) | 1:0 | ანა მათნაძე (საქართველო) |
| სოფო გვეტაძე (საქართველო) | 0,5:0,5 | ირინა ჩელუშკინა (სერბია-ჩერნოგორია) |
| მაკა ფურცელაძე (საქართველო) | 1:0 | ვიტა ჩულივსკა (უკრაინა) |

# პატარა ლანო პირველია



ნანა ძაგნიძე

**16 წლის** უკრაინელმა კატერინ ლანომ შავი ფიგურებით ჩემპიონატის მთავარ ფავორიტ რუს ტატიანა კოსინცევას მოუგო და 4,5 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება სამი ქართველი. ლელა ჯავახიშვილი, ნანა ძაგნიძე და ქეთევან არახამია-გრანტი სხვა შვიდ მანდილოსანთან ერთად მეორე-მეთერთმეტე ადგილებს ინაწილებენ.

რუსთან შეხვედრაში ახალგაზრდა უკრაინელმა თავიდანვე დაცვაზე გადაიტანა ყურადღება, მე-5 სვლაზე როქი გააკეთა და მსუბუქი ფიგურები პაიკების წინ ჩაამწკრივა. კოსინცევამ კუთი შეუტია შავებს, თუმც მეტოქემ მისი დარტყმა იოლად მოიგერია და კონტრშეტევით უპასუხა. შეტაკებამ ლანო გამოაცოცხლა, ხელმწიფის



წინ მძიმე ტექნიკას მოუყარა თავი, იერიშებს შეუდგა და მძიმე ფიგურები გაუცვალა მეტოქეს. მე-40 სვლაზე უკრაინელი ხარისხით დაწინაურდა, a ხაზიდან პაიკის გაყვანას შეუდგა და გამყოლად ეტლი მიუჩინა. გამსვლელი პაიკის შესაჩერებლად შავი ეტლი გაეშურა, მაგრამ ამ რბოლაში f ხაზიდან მეორე პაიკი გაექცა. მე-60 სვლაზე პაიკი შავ ლაზიერად გადაიქცა და შავების უპირატესობაც აშკარად გამოიკვეთა. ტატიანასაც რაღა დარჩენოდა, სამ სვლაში ხელები აწია.

მალე დაასრულეს შეხვედრა ახლახან ნონას თასის გამარჯვებულმა მკრტჩიანმა და ჯავახიშვილმა. მეტოქეებმა, თამაში ორმხრივ იერიშებში გაატარეს, რამდენიმე მანევრი განახორციელეს, მსუბუქი ფიგურები დაუხოცეს ერთმანეთს და მე-17 სვლაზე ზავი ჩამოაგდეს.

26-ე სვლაზე იმარჯვა გათამაშების მეორე ნომერმა ნანა ძაგნიძემ და მე-5 ადგილზე აინაცვლა. ძაგნიძემ დებიუტშივე შეუტია ვაჟდას, ლაზიერის ფლანგიდან მსუბუქი ფიგურებით დაარტყა და მე-9 სვლაზე როქიც გააკეთა. მეფე დაცულად იგულა თუ არა, ქართველმა იერიშები გააძლიერა, ასპარეზზე მძიმე ტექნიკა გამოიყვანა, მეტოქეს სახიფათოდ შეუტია და ქულა აიღო.

**ლაშა გეგეჭკორი**

# ივანჩუკი პირველზე, აზმაიფარაშვილი მეათეზე

**დღეს** პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში ევროპის მე-6 ჩემპიონატი იწყება. გათამაშებაში 33 ქვეყნის 237 მოჭადრაკე იასპარეზებს და მათ შორის შვიდი ქართველი იქნება.

ჩემპიონატის მოგებას შარშანდელ გამარჯვებულ, უკრაინელ ვასილ ივანჩუკს უწინასწარმეტყველებენ, 2003 წლის ჩემპიონი ზურაბ აზმაიფარაშვილი კი მეათეა ფავორიტებს შორის. წლევანდელი გათამაშება სიძლიერით მეათე კატეგორიისაა და მასში ხუთივე ჩემპიონი ითამაშებს.

აზმაიფარაშვილის გარდა ვარშავაში კიდევ ექვსი ქართველი გამოვა — ბაადურ ჯობავა, ზვიად იზორია, მიხეილ მჭედლიშვილი, ლევან ფანცულაია, დავით მალალაშვილი და ვალერიან გაფრინდაშვილი.

ჩემპიონატი 3 ივლისს დასრულდება და გამარჯვებული 20 ათასი ევროთი დაჯილდოვდება.

**ლაშა გეგეჭკორი**



# მოკრივე მია

**ხუთშაბათის** „სარბიელში" პირმშვენიერ მოკრივე მია სენტ ჯონზე მოგახსენებდით და მისი წარმატების შესახებ გამოქვეყნებულ პატარა წერილს თან პლეიბოური ფოტოც დავურთეთ — სპორტზეც გამოვიდა და ლამაზ ქალზეც. დღეს მოკლეედ შეგახსენებთ: მართალია, ქალბატონი მია რვა წელიწადია, რაც რინგზე აბრძანდა, მაგრამ ტიტულს პირველად ახლა დაეუფლა, ლიზ დრიუ ცემით წელზე IFBA-ს ქამარი შემოირტყა.

ჰოდა, ცნობისმოყვარეობამ ამ სპორტსმენის ბიოგრაფიაში ჩახედვისკენ გვიბიძგა. ვფიქრობთ, თქვენთვისაც არ უნდა იყოს უინტერესო თან მოკრივისა და თან მომხიბვლელი ქალის ამბავი.

დავიწყოთ ისე, როგორც ჩვეულებრივ იწყებენ ხოლმე: მია როზალის სენტ ჯონი 1967 წლის 24 ივნისს კალიფორნიაში, სან ფრანცისკოში დაიბადა. ჩხუბი დაახლოებით ექვსი წლიდან დაიწყო, ოღონდ თავიდან კრივს კი არა, ტაეკვან დოს მისდევდა და ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ამ სახეობაში 27 ბრძოლა მოიგო, მარცხი კი ერთადერთხელ იწვნია. ერთი სიტყვით, მია შავ ქამარს ფლობდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ეს ცხოვრება მხოლოდ მუშტის ქნევისგან არ შედგება — კოლეჯში ფოტომოდელობის სწავლას შეუდგა, პლაკატებისა და კალენდრებისთვის უღებდნენ.



მაგრამ, გგონიათ, ამით დაკმაყოფილდა? 1994 წელს ნორთრიჯში, კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ბაკალევრის ხარისხი მიიღო.

მაგრამ ჩხუბი ოხერი რამაა, ერთხელ თუ შეგიყვარდა, მერე ჩხუბობ და ჩხუბობ. ერთი სიტყვით, დადგა 1996 წელი და მია სენტ ჯონი მთელი არსებით ნამდვილ მოწოდებაზე გადაერთო, რაც ერთი წლის მერე, ვალენტინობაზე, საკრივო დებიუტში გამოიხატა.

რინგზე სენტ ჯონის ბიოგრაფიაში იყო ისეთი სანტიმენტური მომენტიც, როგორიც დონ კინგთან კონტრაქტი გახლავთ. იგი ლეგენდარულ პროდიუსერთან და გაქნილობის დიდოსტატთან წელიწადნახევარი თანამშრომლობდა, მაგრამ მერე ისკუპა და თაღლითის დაუძინებელ და უბოროტეს კონკურენტთან ბობ არუმთან გადავიდა.

1999 წელს მიას ფოტოებს „პლეი ბოიმ" არც მეტი, არც ნაკლები, თერთმეტი გვერდი დაუთმო. მისი ახალი ფოტოების მთავარი თემა სპორტია. თურმე ნუ იტყვით და საეტაპო სიტყვები მისთვის დედას უთქვამს:

„მებრძოლები არ ხდებიან, მებრძოლებად იბადებიან. შენ, ჩემო შვილო, მოკრივედ ხარ დაბადებული"

ჰოდა, დედა რომ ასე დაგარიგებს, ძნელია მერე სხვანაირად მოიქცე.

ისე კი, რამდენიც გინდა იქნიო მუშტი, როდესაც მია სენტ ჯონი ხარ, ტელევიზიას ვერ აცდები. ბოლო წლებში იგი გამოდიოდა შოუებში „დილა მშვიდობისა ამერიკა", „ამაღამდელი ღამის წარმოდგენა", „ექსტრა", „წყეული სპორტის საუკეთესო შოუ", E და სხვა. გადაიღეს მრავალ რეკლამაში. აქვს თავისი პლეისტეიშენ თამაში.

ბოლოს კი, როგორც მოგახსენეთ, ერთი კარგი საკრივო ქამარიც შემოირტყა.

**ტუტა სიხარულიძე**



# თურქეთი ნაღდია, სხვები?..



ბერნი ეკლსტოუნი თურქული ტემპებით კმაყოფილია

**მეფორმულეებს** ამგვარი დატვირთული სეზონი არასოდეს ჰქონიათ. გასულ კვირას კანადაში იჯირითეს, ზეგ კი მეზობლად, შტატების დიდი პრიზისთვის ირბოლებენ.

კალენდარში ექვი ასეთი, ერთი კვირის შუალედიანი „გადაბმული" წყვილია, რადგან წლეულს სარეკორდოდ ბევრი, 19 დიდი პრიზი გათამაშდება და ეს ყველაფერი ტრადიციულ, რვათვიან პერიოდში უნდა მოესწროს. განრიგის შედგენისას პირველ აგვისტოდან საყოველთაო საშვებულებო სამკვირეულიც გაითვალისწინეს.

მერე კი პირველად მოეწყობა რბოლა თურქეთში. სტამბოლის გარეუბანში ფორმულა 1-ის მთავარ არქიტექტორ, გერმანელ ჰერმან ტილკეს პროექტით და მისი უშუალო ხელმძღვანელობით მთავრდება სუპერავტოდრომის მშენებლობა. მართალია, მასპინძლებს ბოლო დროს ფინანსური პრობლემები შეექმნათ და მავანნი უკვე აქაქანდნენ, ევროპა-აზიის სასაზღვრო ქალაქში გრანდიოზული ნაგებობის დასრულება ვერ მოესწრებაო. ტილკემ საფორმულო საზოგადოება დაამშვიდა, საგანგაშო არაფერია, დამატებით საჭირო 55 მილიონი დოლარი გამოინახა და თურქული ეტაპი დათქმულ ვადაში, 20-21 აგვისტოს მოეწყობაო.

იმედი „სამეფო რბოლების" მმართველ-გამგებლის ბერნი ეკლსტოუნის სტამბოლში ორიოდე კვირის წინანდელმა სტუმრობამაც გაამყარა. ფორმულის გურუმაც — მეტ-ლაფერი რიგზეა და გრაფიკი არ დაირღვევაო — ბრძანა.

ტრასა ბოლოდროინდელი ტენდენციის შესატყვისია, ხუთი კილომეტრი სიგრძისა, უფართოესი და უსაფრთხო მონაკვეთ-მოსახვევებით და გასასწრებად არაერთი ხელსაყრელი ადგილით.

მოგეხსენებათ, საფორმულო ეტაპის მასპინძლობა ფრიად პრესტიჟულ-სარფიანი საქმეა. სამ-ოთხ დღეში ადგილობრივი ხაზინა „სამეფო რბოლების" ქომაგთა ჯიბეებიდან თითქმის ასი მილიონი დოლარით ივსება. ამიტომაცაა, რომ ფორმულა 1-ის დიდი პრიზის სამასპინძლოდ იმხელა რიგი გაიჭიმა, ჩამოთვლას თუ დავიწყებთ, იქნებ ვინმე გამოგვრჩეს კიდეც.

მაინც ვეცადოთ და ანბანით მივყვეთ: არაბთა გაერთიანებული საემიროები, არგენტინა, ავსტრია, აშშ (ისევე, როგორც იაპონიას, მეორე რბოლის მასპინძლობა მოუნდა), ეგვიპტე, ინდოეთი, ირანი, კვიპროსი, მექსიკა, პაკისტანი, რუმინეთი, რუსეთი, საბერძნეთი, სამხრეთ აფრიკა, სამხრეთ კორეა, სინგაპური, უკრაინა, შვეიცარია, ჰოლანდია.

შთამბეჭდავი სიაა, არა?! მაგრამ კალენდარი რეზინის არაა. ამდენად, უმეტეს კანდიდატთა ოცნება უტოპიურია, რეალურად კი ის შეიძლება მოხდეს, რომ რაკი უკვე წლეულს შემოდგომიდან ევროკავშირის ქვეყნებში თამბაქოს რეკლამა აიკრძალება, რამდენიმე ეტაპი არსებობას შეწყვეტს.

**გია ახალაძე**

AFP ფრანკფურტიდან





# ორი ფეხბურთი

ეს ორი ფოტო ორი სხვადასხვა ფეხბურთიდანაა. ფრანკფურტის „ვალდშტადიონზე“ კონფედერაციის თასს ხსნიან. ჰოლანდიურ ტილბურგში კი ყმაწვილთა მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს, ეს კოტხა კოლუმბიელი გოგუცუნა კი თავისიანებს ქომაგობს.



AFP ტილბურგიდან

# სტივმა იმღერა



AFP ობარნ ჰილზიდან

ენბიეის ფინალები უსიმღეროდ არ ჩაივლის. „დეტროიტ“ — „სან ანტონიოს“ სერიის მორიგი მატჩი „ობარნ ჰილზ პალასში“ თვით სტივ უონდერმა გახსნა.



AFP ნოვი ვინოდოლსკიდან

# ახლა ხორვატიაში

ეს ფიდელიანი ფეხი ყველამ იცანით. დიეგო მარადონა სერბიიდან ხორვატიაში გადავიდა და ნოვი ვინოდოლსკის კურორტზე საქველმოქმედო ფეხბურთზე ჩავიდა. მის გუნდში გაწთქმული ჩოგბურთელები, იჯანიშევიჩი და მუსტერიც ყოფილან.



AFP მონტე კარლოდან

# დასკვნითი

„მარი ნოსტრუმის ტური“, მოცურავეთა გრძელი სერია თავის დასკვნით შეჯიბრს აწყობს მონტე კარლოში. ეს კი დანიელი ფრედრიკე გლაისნერია, რომელიც ქალთა ბატერფლაიში იბრძვის.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ [illegible]
დირექტორი გიორგი ოქროჭყელიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ ბურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: [illegible]
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: [illegible]

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: [illegible]
ფოტორეპორტიორები: [illegible]
სტილისტები: [illegible]
კომპიუტერული ცენტრი: [illegible]

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge